




„ეტიუდების“ წინამდებარე ტომი დიდი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის შრომათა დამამთავრებელი კრებულია. მასში ძირითადად მოთავსებულია ცალკეულ საკითხებზე დაწერილი სამეცნიერო ხასიათის შრომები, რომელთა ნაწილი პირველად ქვეყნდება. დაცულია ისინი მეცნიერის პირად არქივში ან მის ბიბლიოთეკაში.

ავტორის მიერ ნაბეჭდ შრომებში შეტანილი ყოველგვარი შესწორება გათვალისწინებულია ამ გამოცემაში.

რედაქტორი ლ. მენაბდე

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

1986 წელი

# ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა\*\*

ზოგადი ცნობა თხზულების შესახებ

## I

„ცხოვრება“ სერაპიონ ზარზმელისა, რომელიც ახლა მეორედ იბეჭდება, აღმოაჩინა და პირველად გამოსცა დამსახურებულმა მკვლე-

---

\* გამომცემლის მიერ ნაბეჭდ ტექსტში შეტანილი შესწორებანი:

გვ. 57-ე სტრ. მე-6: „გხედავ თქვენ“... სტრ. მე-11: „სიყვარულითა მისითა ნათელ-გვლებივს“ ჩასმულია ფანქრით მრგვალ კავებში ( ). ასევე იმავე გვერდზე მე-15 სტრ.: „რამეთუ ქრისტეს-თვს არიან“..., მე-16 სტრ.: „მისთა მოწამეთა-თვს“. აგრეთვე: მე-17 სტრ.: „რამეთუ უფალსა პნებავს დამკვდრებად“... 24-ე სტრ.: „ამის-თვის საყუარელნო“. სტრ. 29-ე: „რომელნი ესე“... გვ. 58-ე სტრ.: „ჩუენ შორის, რამეთუ“... იმავე გვ. 27-ე სტრ.: „რომლისათვსცა დღეს კუალად“... გვ. 62-ე სტრ. 30: „მისთა მძლავრებასა შეურაცხ ჰყოფენ!“ მე-60 გვ. ქვემო არშიაზე ფანქრით მიწერილია: „სახელები ამოღებულია ეპიფან[ედ]ან მხოლოდ სხვა რიგით და ოდნავ განსხვავებით განმარტებაში. ეპიფანეს აქვს ერთი მეტი სახელი „წყარო“ (გვ. 78-ე). ფანქრით, მრგვალ კავებში ( ) ჩასმულია: 25-ე: „რამათუ გაქუნდა შენცა“... სტრ. 37-ე: „სარწმუნოებისა შენისა მისა მიმართ“. ამ სტრიქონების მარცხენა არშიაზე ფანქრით მიწერილია: „ეს ჩამატებული ჩანს“ (ს. ყ.).

\*\* პირველად დაიბეჭდა კ. კ. წიგნში: აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 99 — 143.



ვარმა მ. ჯანაშვილმა (იხ. მისი „ქართული მწერლობა“, II, ტფილისი, 1909 წ.). ამ თხზულებას ჩვენამდე მოუღწევია ერთადერთი, უნიკალური ხელნაწერით (საქართველ. მუზეუმისა, ფონდი საეკლ. № 69), რომელიც, ხელისა და ფილიგრანის (გრძელღეროიანი სამყურა ბალახი, რომელსაც აქეთ-იქით M და 3-ს მსგავსი ასოები აქვს) მიხედვით, უფრო მეთექვსმეტე საუკუნისაა, ვიდრე მეჩვიდმეტისა (მ. ჯანაშვილი) და, მით უმეტეს, მეცამეტისა (თ. ჟორდანიას). ხელნაწერი (30X20 სანტ.) გადაწერილია თეთრსა და სქელ ქაღალდზე ე. წ. ნუსხახუცურით, მასში სულ 548 გვერდია: 1—478 გვერდებზე მოთავსებულია ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი და კომენტირებული თხზულება პროკლე დიადოხოსისა „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“, ხოლო 479—548 გვერდები, ორსვეტად დაწერილი (თითოზე 22 სტრიქონი), უკავია ბასილ ზარზმელის შრომას. ეს შრომა, მ. ჯანაშვილის გამოცემის შემდეგ, მეცნიერული კვლევა-ძიების საგნად გახდა,<sup>1</sup> ის ცნობილი ორიენტალისტის P. Peeters-ის მიერ ლათინურადც კი ითარგმნა<sup>2</sup> და ამით მეცნიერთა უფრო ფართო წრეებისათვის შეიქმნა ხელმისაწვდომი.

სამწუხაროდ, მეცნიერებაში ეს ძეგლი ვერ შევიდა იმ სახით, როგორც მის ღირებულებას შეშვენის: მ. ჯანაშვილმა ის ისე დაბეჭდა, როგორც ხელნაწერშია შემონახული (იმ ნებისითი თუ უნებლიეთი შეცდომების თანდართვით, რომელნიც მოსალოდნელია ყოველ გამოცემაში), ხელნაწერი კი ძალიან დაზიანებული და წარყვნილია: საეპარსია აღინიშნოს ამთავად, რომ ხელნაწერის არქეტებში, აქედან კი თვით მასში და მ. ჯანაშვილის გამოცემაშიაც, მოთხრობის თანმიმდევრობა, ქვატერნიონების აღრევის მიზეზით, დარღვეული ყოფილა, რის გამოც ა) გაგრძელება სიტყვებისა „ნაკულუღევანებისა სრულყოფად“ (გვ. 32,<sup>17</sup> ჯანაშვ. გამოც.) ჩვენ გვაქვს 38,<sup>23</sup> — 41,<sup>17</sup> გვერდებზე („განგებულებით რამეთუ აჰა ესერა მიეგებნეს... პირველ დაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი შემდგომად“); ბ) 41,<sup>27</sup>-ის გაგრძელება იკითხება 32,<sup>18</sup> — 38,<sup>22</sup> გვერდებზე („და ვითარცა იქმნა დაწყნარება...“).

<sup>1</sup> იხ. პროფ. ი. ჯავახიშვილი, ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. I, გვ. 61—72; გამოც. II, გვ. 111—124; პროფ. ე. თაყაიშვილი, შენაშენება ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილ. უნივერსიტ. მოამბე, I, 105—124; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 145—148; ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, გვ. 54.

<sup>2</sup> *Histoires monastiques Géorgiennes*, გვ. 159-207, Bruxelles, 1923 (*Extrait des Analecta Bollandiana*, XXXVI—XXXVII); იხ. ჟურნალ „მომკილველში“ (1277—9) ამ გამოცემის შესახებ ჩემი რეცენზია რომელსაც ძალა უნდა დაუმატო, რომ P. Peeters-ს ძეგლის სტყევბა „ბასილი, ძმისწული სერაპიონისა“ უთარგმნია ასე: *Basilius, Serapionis sororis filius* (გვ. 205, 11-12).

განეხუნეს კარნი და შევიდეს წმიდად“); გ) გაგრძელება 38,<sup>22</sup>-ისა გვაქვს 41,<sup>27</sup> გვერდზე („ეკლესიად და აღვიდეს საკურთხეველად“)<sup>3</sup>. შეიძლება ეს გარემოებაც იყოს ერთ-ერთი მიზეზი აზრთა და შეხედულებათა იმ სხვადასხვაობისა, რომელიც ამ ძეგლის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს და რომელიც გადახედვას თხოულობს.

ვფიქრობთ, ყველაფერი, რაც ითქვა, საკმაო საბუთს იძლევა იმისთვის, რომ ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ძველი ქართული ფეოდალური ლიტერატურისა გამოცემულ იქნეს ხელმეორედ და კრიტიკულად, რამდენადაც კრიტიკული მისი გამოცემა შესაძლებელია ერთადერთი მხოლოდ, ისიც წარყვნილი, ხელნაწერის არსებობის პირობებში.

## II

### ქრონოლოგია სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებისა“

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“, რომელიც ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ძველი ქართული ფეოდალური ლიტერატურის პაგიოგრაფიულ-თხრობითი ჟანრისა, შეიცავს საყურადღებო ცნობებს სამცხის სამონასტრო-სამოქალაქო კოლონიზაციისა და ადრინდელი ქართული ფეოდალიზმის ისტორიისათვის. გამოყენება ამ ძეგლისა ისტორიულ-ლიტერატურული კვლევა-ძიების მიზნებისათვის გულისხმობს მასში მოხსენებული პირებისა და ფაქტების ქრონოლოგიურ ლოკალიზაციას. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ამ პირებსა და ფაქტებს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ათავსებენ მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე, დაწყებული მეექვსე საუკუნის ნახევრიდან, — შიო მღვიმელის დროიდან (მ. ჯანაშვილი), — და გათავებული მეათე საუკუნის ნახევარით (ივ. ჯავახიშვილი). აიხსნება ეს იმიტო, რომ თხზულებაში არავითარი ქრონოლოგიური ცნობა არ არის და მის მიერ აღძრული საკითხების გადაწყვეტას ლამობენ ისეთი შემთხვევითი ხასიათის მონაცემით, როგორიცაა „პავლეს ქორონიკონი“ ზარზმის ფერისცვალების ხატზე, რომელიც, როგორც დავინახავთ, თვითონ თხოულობს გადასინჯვას.

ამ მიმართულებითა და ხაზით გარკვევას თხოულობს: მაწყვერელობა გიორგი შუარტყლელისა და მასთან დაკავშირებით გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ მოხსენებული ეფრემ დიდისა, მოღვაწეობა მიქელ პარეხელისა, მისგლა მასთან სერაპიონისა, აშენება ზარზმისა სერაპიონის მიერ და გარდაცვალება მისი, მამასახლისობა სერაპიონის

<sup>3</sup> ასეთი აღრევა, აგრეთვე სხვა მრავალი უხამსობა ხელნაწერისა, პირველად P. Peeters-მა შენიშნა და შეძლებისდაგვარად კიდევაც შეასწორა თავის თარგმანში.

მომდევნო წინამძღვრებისა, განსაკუთრებით ბავლესი, ფერისცვალების ხატის ქორონიკონთან დაკავშირებით, მისგლა ზარზმაში ბასილისა, დასაწყისი მისი მამასახლისობისა და დაწერა მისი შრომისა.

აღნიშნულ საკითხთა გარკვევისას გამოსავალ წერტილად უნდა აღებულ იქნეს ეფრემ დიდისა და გიორგი მაწყვერელის ეპოქა, ხოლო ამ ეპოქის გათვალისწინება შეუძლებელია, თუ წინასწარ გადაჭრილი არ იქნება რამდენიმე საკითხი კურაპალატის აშოტ დიდის შესახებ.

### III

#### აშოტ დიდი კურაპალატი

საკითხი აშოტ დიდის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ სათანადოდ დამუშავებული არაა, ჩვენ ისიც კი არ ვიცით დანამდვილებით — როდის გახდა ის ერისმთავრად ქართლისა, როდის გადასახლდა, არაბთა იძულებით, კლარჯეთში და როდის გარდაიცვალა. აიხსნება ეს გარემოება იმით, რომ ე. წ. „სუმბატის ქრონიკას“ ეს ამბები, გარდა სიკვდილისა, იმდენად ზოგადად აქვს აღნიშნული, რომ აქედან ბევრს ვერას გამოიტანს მკვლევარი; თან ეს ქრონიკა არც სანდოდ ჩანს ყოველთვის, სხვათა შორის იმითაც, რომ აშოტის „სახლად“ ის თბილისსა და ბარდავსა თვლის (ქართ. ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 342; ქვემოთ, სადაც ნაჩვენებია ქართ. ცხოვრ., ეს ვარიანტია ნაგულისხმევი), თუმცა ცნობილია, რომ ამ დროს თბილისი და ბარდავი არაბთა ამირების საჯდომი იყო. მეორე ქრონიკას, რომელსაც „მატიანე ქართლისაჲ“-ს უწოდებენ, მართალია, რაღაც ნაგლეჯები ისტორიული გადმოცემისა შემოუნახავს, მაგრამ ყველაფერი ისეა არეული ერთმანეთში, რომ ზუსტი ქრონოლოგიური დასკვნებისათვის მისი გამოყენება საძნელოა. საკმარისია მოვიგონოთ, რომ აშოტის მთავრობას ის უკავშირებს მასლამას საბერძნეთში შესვლას (717 — 718 წწ.), თბილისის ამირას ალი შუაბის ძეს ხან მისი მთავრობის დასაწყისში უჩვენებს (გვ. 219), ხან ხალიდ იაზიდის ძის შემოსვლის შემდეგ (გვ. 220); ამასთან დაკავშირებით აშოტის ბრძოლა კახეთის მთავრის გრიგოლის წინააღმდეგ ხან ალი შუაბის დროსაა დადებული (გვ. 219), ხან მის გაამირებამდე (გვ. 220). ამით მე იმისი თქმა არ მინდა, რომ აღნიშნული საკითხების გამორკვევა შეუძლებელი იყოს საზოგადოდ; მეცხრე საუკუნის საქართველოს ამბების (მათ შორის აშოტისაც) დაახლოებითი, ყოველ შემთხვევაში, გათვალისწინება მოსახერხებელია



არაბული და სომხური წყაროების გამოყენებით და მათი ქართულ წყაროებთან შეჯერებით<sup>4</sup>.

დავიწყოთ აშოტის გარდაცვალების წლის ძიებით. აქ თითქმის საძიებელი არაფერია, ვინაიდან სუმბატის ქრონიკაში გადაჭრით და კატეგორიულადაა აღნიშნული: „მოიკლა ესე აშოტ კურაპალატი დასაბამითგან წელთა **ხულ**, ქორონიკონსა მეთატამეტედ მოქცეულსა შინა **მვ**“ (ქართლ. ცხოვრ., 345), ესე იგი 826 წელს. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ თარიღის პირველწყარო დასახელებული ქრონიკაა, აქედან გადასულა ის შემდეგ სხვა წყაროებში. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია ამ ქრონიკაში (გინდ თუ მის წყაროში), რომელიც დამძიმებულია თავბრუდამსხმელი ციფრებით და სახელებით, ყველაფერი ზუსტად და უცვლელად შენახულიყო; პირველ ყოვლისა ეს შეეხება აშოტის გარდაცვალების წელს. ამას ამჟღავნებს ცდა „ქორონიკონის“ მონაცემი გამაგრებულ იქნეს „დასაბამითგან“ წელთაღრიცხვით, რასაც მხოლოდ აშოტის შემთხვევაში აქვს ადგილი. მაგრამ დამაფიქრებელი ისაა, რომ „დასაბამითგან“ წელნი „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებში სხვადასხვანაირია: მარიამისაში **ხულ**, ვახტანგისა და ბარათაშვილისაში **ხტლდ**, თეიმურაზისა და რუმინანცევისაში **ხელ**, მეგრელიისაში **კოლ**; ზოგი ანგარიშობს ქრისტემდე 5604 წელს, ზოგი 5508-ს, მაგრამ ყოველთვის 826 არ გამოდის, თან ბარათაშვილის ვარიანტი „ქრისტეს აქათ“-აც უჩვენებს — **ჟა** (801). აქ რომ ყველაფერი რიგზე არაა, ამას შემდეგი გარემოებაც გვითვალისწინებს:

1) „მატიანე ქართლისაჲ“ აშოტის სიკვდილსა სდებს ხალიდ იაზიდის ძის პირველი შემოსვლის შემდეგ, როდესაც მან „დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი“ (ქართ. ცხ., 220). ხალიდ იაზიდის ძის სომხეთში პირველი შემოსვლა კი, სომხურ-არაბული წყაროების მიხედვით, მომხდარა 829 წელს (Marquart, გვ. 409—410), მაშასადამე. ამაზე ადრე ვერც აშოტის გარდაცვალებას ექნებოდა ადგილი.

2) „მატიანე ქართლისაჲ“ აშოტის დროს თბილისის ამირად ალი შუაბის ძეს ასახელებს (ქართ. ცხ., 219—220), ალი შუაბის ძე კი თბილისის ამირად დაუყენებია ხალიდ იაზიდის ძეს, მისი პირველი შემოსვლის შემდეგ, მაშასადამე, არა უადრეს 829 წლისა, — თბილისის ამირად ის 829 — 830 წლებში ჩანს (Marquart, გვ. 410). ასე რომ, ამაზე ადრე არც აშოტის სიკვდილია საგულისხმეო.

3) გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ გადმოცემულია, რომ დიაკონმა ცქირმა, რომელიც იყო „ტფილისს აღზრდილი საპაე ამირისა,

<sup>4</sup> ცნობები ამ წყაროებიდან საკმაო სისტულით შემოკრებილია განსვენებ. პროფ. J. Marquart-ის ბროშაში — *Osteuropäische und ostasiatische Streifzüge*, Leipzig, 1903; სადაც ჩვენ დასახელებული გვყავს Marquart-ი, ეს თხუთღება ნაგულისხმევი.

ისმაელის ძისაგან, და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინა-  
შე“, იხილა რა „ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული“, „საჰაკ ამი-  
რისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან“ და  
„მძლავრებითა დაიპყრა“ იგი (გვ. 46). საეკლესიო კრებამ ცქირი და-  
ამხო, ეპისკოპოსობა მიუღო, ასე რომ, მას „ღონე ყოველი დაელია და  
ტფილისს წარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონისა თვისსავე, და წყინები-  
თა მისითა რეცა მიეშუა კურაპალატი, და კუალად მძლავრებით დაი-  
პყრო ანჩის საყდარი“ (გვ. 48). ჩვენი ისტორიკოსები აქ ანაქრონიზ-  
მსა და შეცდომას ხედავენ, რადგანაც, ამბობენ ისინი, აშოტი 829  
წელს გარდაიცვალა, საჰაკ ისმაილის ძე კი თბილისის ამირად ხალიფა  
ვასიყის (არა უადრეს 842 წ.) დროს ჩანს; შეუძლებელია, საჰაკ ისმაი-  
ლის ძეს აშოტ კურაპალატისათვის მოციქულები ეგზავნა. მაშასადამე,  
აქ ან ამირას სახელია არეული, ან კურაპალატისა (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი -  
შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 60, გამ. 1;  
თ. ლომოური, სუმბატ დავითის ძე და გიორგი მერჩული ბაგრატიო-  
ნიანთა შესახებ, კრებული „არილი“, გვ. 55—56). ეს ასე არ არის, არა-  
ბული წყაროების დახმარებით შესაძლებელია სრული რეაბილიტაცია  
გიორგი მერჩულისა, როგორც ისტორიკოსისა. საჰაკ ისმაილის ძე  
თბილისის ამირად გვევლინება გაცილებით ადრე, ვიდრე ხალიფა  
ვასიყის დროა. საჰაკ ისმაილის ძე „ატ ტიფლიზი“, როგორც გამგე გუ-  
რჯანისა (ქართლისა), ჯერ კიდევ ხალიფა ალ-მამუნის დროს ჩანს, მას  
ამირობა მიუღია მისი ბიძის, ალი შუაბის ძის (829 — 830) შემდეგ; მა-  
მუნის უკანასკნელ წლებში, როდესაც სომხეთში ამირადაა ალ ჰასან  
ბენ ალი, თბილისში ამირად საჰაკ ისმაილის ძეა. ის თბილისის ამი-  
რადაა ხალიფა მუტასიმის დროსაც 839 — 840 წლებში, რჩება ის თბი-  
ლისის ამირად ალ-ვასიყის დროსაც 853 წლამდე, როდესაც ბუღა თურ-  
ქმა ბოლო მოუღო მას. ასე რომ, საჰაკ ისმაილის ძემ თბილისის ამი-  
რად ოც წელზე მეტი (830 — 853) დაყო, როგორც დამოუკიდებელმა  
თითქმის მმართველმა მისმა (Marquart, გვ. 410, 422, 460, 461).  
მაშასადამე, ესეც მაჩვენებელია იმისა, რომ აშოტი ყოველ შემთხვე-  
ვაში საჰაკ ისმაილის ძის ამირობის დასაწყის წლებში ჯერ კიდევ ცო-  
ცხალია. საჰაკ ისმაილის ძე იმდენად ძლიერი იყო, რომ ვასიყის დრო-  
მდეც ის თითქმის დამოუკიდებლად გრძნობდა თავს ხალიფასაგან,  
ის შიშის ზარსა სცემდა მთელს კავკასიას, რადგანაც, ისტორიკოსის  
მასულის ცნობით, მან დაიმორჩილა ყველა მახლობელი ერები (Mar-  
quart, გვ. 422-3). ეჭვი არ არის, აშოტი გახდა მსხვერპლი საჰაკის  
მძლავრობისა, რომელსაც იმდენად დაბეჩავებული ჰყოლია ის, რომ  
მისი სურვილის წინააღმდეგ ანჩის საეპისკოპოსო კათედრიდან არასა-  
სურველი კანდიდატიც კი ვერ მოუშორებია.

ამრიგად, გამოდის რომ 830 წელზე ადრე, როდესაც საჰაკი თბი-



ლისის ამირად ხდება, აშოტის სიკვდილი საგულგებელი არაა, 840 წელზე გვიან ის კურაპალატად საფიქრებელი არ შეიძლება იყოს, ვინაიდან 841—842 წლებში მისი შვილი ბაგრათი ჩანს კურაპალატად.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო შეიძლება ითქვას, რომ სუმბატის ქრონიკის მკ-ში წარყვნილი და შეცვლილია ათეულის მაჩვენებელი ასო, მ-ს მაგიერ იქ საფიქრებელია ნ. ასე რომ, აშოტის გარდაცვალების წლად უნდა იქნეს მიჩნეული არა მკ ქორონიკონი, არამედ ნვ, ესე იგი 836 წელი<sup>5</sup>.

მემატიანე გადმოგვცემს, რომ მამის სიკვდილის შემდეგ აშოტის შვილებს „სარკინოზთა“ (იგულისხმება საპაქ ისმაილის ძე) „წარუღეს გარეთ ქუეყანა“, ესე იგი კლარჯეთის გარეთ მდებარე სამკვიდრებელი მათი, ქართლი, „რამეთუ იყვნეს ისინი უსრულ ასაკითა... და იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა. ხოლო რაჟამს სრულ ასაკ იქმნეს ივინი, კუალადვე მისცა ღმერთმან მათვე ყოველივე იგი ნაქონები მამისა მათისა“ (ქართ. ცხ., 345-6). ბაგრატის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას პირველად 841—842 წლებში ვხედავთ, როდესაც ის არაბთა სარდალ მოჰმედთან ერთად ებრძვის უზურპატორს საპაქ ისმაილის ძეს და სამაგიეროდ სარდლისაგან ღებულობს „ნაქონებსა მამისა მისისასა“ — ქართლს (ქართ. ცხ., 220). ამის მიხედვით, მისი სრულწლოვანება და კურაპალატად გახდომა უნდა დაიდოს არა უადრეს 840 წლისა. ამიტომაცაა, რომ გრიგოლ ხანძთელი, მისი ბიოგრაფის გადმოცემით, მაშინვე, აშოტის გარდაცვალებისთანავე, კი არ ულოცავს მის შვილს კურაპალატობას, არამედ რამდენიმე ხნის შემდეგ. „მას ჟამსა“, ამბობს ბიოგრაფი, „ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისათა და ნებითა ძმათა თვსთათა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისათა მიიღო კურაპალატობაჲ ნაცვლად აშოტ კურაპალატისა, მამისა

---

<sup>5</sup> თუ 826 წელს თვით სუმბატის ქრონიკის კუთვნილებად მივიჩნევთ, მაშინ შეიძლება ასეთი საკითხი დაისვას: სუმბატის წყაროს, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო მატრიანეს (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 136, გამოც. 1), რომელიც, უეჭველია, ჰარგებლობდა სომეხ ბაგრატიონთა მემატიანის. შაჰუჰ ბაგრატუნის, თხზულებით, ღმრთე არ არევიან ჩვენი აშოტი სომეხთა აშოტ მსაკერთან, რომელიც, სომხური წყაროებით, ახლო ნათესავი ყოფილა ჩვენი აშოტისა და 826 წელს გარდაიცვალა (Marquart. გვ. 452—453)?

აშოტ კურაპალატი რომ 836 წელს გარდაიცვალა, ეს მოსაზრება გაიზიარა აკად. ე. თაყაიშვილმაც; „ქორონიკონის ციფრებში, — ამბობს ის, — გადამწერიელი შეცდომა უნდა იყოს, სახელდობრ, როგორც მარაებულად შენიშნავს კ. კეკელიძე, მ-ს მაგიერ ნ უნდა ყოფილიყო. თუ ასე აღვადგენთ, გამოგვიყა, რომ აშოტ დიდი გარდაიცვალა ნვ ქორონიკონს, ე. ი. 836 წელს. კ. კეკელიძის აზრი უფრო ახლია ქეშმარიტებასთან, ვიდრე ყველა უწინ გამოთქმული დებულება (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე, 1949 წ., გვ. 74).

თვისა... ხოლო ნეტარი მამა გრიგოლ მიიწია წინაშე დიდ-  
ბულისა ბაგრატ კურაპალატისა და ჯერისაებრ შესხმა კურაპალატო-  
ბისა მიულოცა“ (გვ. კმ). ეს გარემოება უნდა ადასტურებდეს ჩვენ  
მიერ დადგენილ თარიღს აშოტის გარდაცვალებისა, ვინაიდან ბაგრა-  
ტის ხანგრძლივი მცირეწლოვანება, 826 წლიდან 841 წლამდე, საის-  
ტორიო მოთხრობათა მიხედვით საგულეველი არაა.

უფრო ნაკლებადაა ცნობილი და გარკვეული დრო აშოტის მიერ,  
არაბთა იძულებით, ქართლის მიტოვებისა და კლარჯეთში გადასახ-  
ლებისა, ჩვეულებრივ, როგორც მემკვიდრე, ისე მკვლევარებს, ყოველ  
შემთხვევაში 790 წლიდან ის კლარჯეთში ეგულვებათ. ასეთი თა-  
რილი მკვეთრად წარმოდგენილია თ. ლომოუროს მიერ, რომელიც  
ამბობს: აშოტის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრება უნდა მომხდარიყო  
მერვე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, — სწორედ იმ დროს დაი-  
წყო თავისი მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელმა (სუმბატ დავითის ძე  
და გიორგი მერჩული ბაგრატიონიანთა შესახებ, არილი, გვ. 48—49).  
ამრიგად, თუ აშოტის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრებას გრიგოლ  
ხანძთელის ამ ქვეყანაში მოღვაწეობის დასაწყისს დავუკავშირებთ, მა-  
შინ ეს თარიღი უფრო წინ უნდა იქნეს გადაწეული, რადგანაც გრი-  
გოლი კლარჯეთში ჩნდება არა უგვიანეს 781 წლის დასასრულისა<sup>6</sup>. ასე  
რომ, თუ 790 წლამდე არა, ამ წლიდან მაინც აშოტი, თ. ლომოუროს  
ანგარიშითაც, შავშეთ-კლარჯეთშია საგულეველი. მაგრამ ეს შეუძ-  
ლებელი და დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ აშოტის ქართლში „გან-  
დიდება“, მემკვიდრის ცნობით, გამოწვეული იყო იმით, რომ იმ დროს  
„მოუძღურებულ იყვნენ სარკინოზნი“ (ქართ. ცხოვ. 219). განა შე-  
საძლებელია ლაპარაკი სარკინოზთა „მოუძღურების“ შესახებ მერვე  
საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში, ხალიფა ჰარუნ აღ-რაშიდის დროს  
(786 — 809), რომელმაც ხალიფატი განდიდების და ძლიერების უმა-  
ღლეს საფეხურზე აიყვანა? ასეთი მოუძღურება დაიწყო ხალიფატში  
ჰარუნის სიკვდილის შემდეგ (809 წ.), როგორც შედეგი მისი შვილებს  
შორის ამტყდარი შეხლა-შემოხლისა მემკვიდრეობის ნიადაგზე. აღ-  
ამინის დროს (809—813) და აღ-მამუნის ხალიფობის პირველს ნა-

<sup>6</sup> ეს შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს „აბო თბილელის მარტვილობისა“ და  
„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით. გრიგოლი „სახლსა შინა სამეფოთაა  
დიდისა ნერსე ერისთვისასა აღზრდილ იყო კელითა კეთილდმსახურისა დედო-  
ფლისა ნერსეს ცოლისათა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა მისი წული მისი“  
(გვ. ბ, ნ. მარის გამოცემა), ნერსეს ოჯახიდან მისი წასვლა კლარჯეთის უდაბნო-  
ში უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ნერსე იძულებული გახდა თავისი ოჯახი  
აფხაზეთში გადაეხიზნა და თვითონ თავი საზარეთისათვის შეეფარებია. ესე იგი  
— როდესაც მისი ოჯახი დროებით დაშალა. როდის მოხდა ეს? აბოს მარტვი-  
ლობის მონაცემთა მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო 781 წლის ნახევარში.

ხევარში, სანამ ის აღმოსავლეთიდან, მერვიდან, ბაღდადში გადავიდოდა (813—820 წწ.), ხალიფატში ნამდვილი ანარქია იყო გამეფებული და ამან გამოიწვია ის „დაუძლურება“, რომლის შესახებ ჩვენი მემკვიდრე ლაპარაკობს და რომლის შედეგებით აშოტ კურაპალატსაც უსარგებლნია ჯერ კიდევ კლარჯეთში გადასახლებამდე. საქმე ისაა, რომ ამ საერთო „დასუსტებას“ თავი უჩენია თბილისის ამირატშიაც, იქამდე, რომ აშოტ კურაპალატი ადვილად ამარცხებს თბილისის ამირას (Marquart-ის აზრით — მუჰამედ ბენ ატაბს, გვ. 409), რომელსაც გვერდში უდგანან კახეთის მთავარი გრიგოლი და მთიულ-წანარჩი. ეს გამარჯვება, რომლის შედეგი იყო აშოტის საბრძანებლის გაფართოება კლარჯეთამდის (ქართ. ცხ., 219), მოხდა კლარჯეთში გადასახლებამდე, ვინაიდან თეოდოსი, რომელიც აშოტს ეხმარებოდა ამ შემთხვევაში, აფხაზეთის მეფედ მხოლოდ 818 წლამდე ჩანს, აშოტი კი 820 წელსაც ქართლშია, როგორც ესა ჩანს სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობიდან: როდესაც მიხეილმა ბიზანტიის კეისარი ლეონ V მოკლა, მაშასადამე — 820 წელს, აშოტ კურაპალატი კლარჯეთში კი არა, არამედ „კლარჯეთიდან თბილისამდე ბატონობდაო“ (Marquart, გვ. 405)<sup>7</sup>. მაგრამ აშოტის „განდიდება“ და ბატონობა ქართლში არ გამომდგარა მაინცადამაინც ხანგრძლივი; ხალიფა ალ-მამუნის მტრებსა და მეტოქეებზე გამარჯვებისა და ბაღდადში დამკვიდრების შემდეგ „გამლიერდა ხელმწიფება აგარიანთა“ საზოგადოდ ყველგან და კერძოდ კავკასიაშიც, ამიტომ „იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა, ვერ უძლო წინააღდგომად მათდა და იელტოდა მათგან და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად“ (ქართ. ცხ., 342).


ამრიგად, აშოტის კლარჯეთში გადასახლებას ადგილი ჰქონდა არა უადრეს 820 წლისა, ის მოხდა დაახლოებით 820 — 825 წლებში და არა მერვე საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში. ამ მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი გარემოებაც. მემკვიდრე გადმოგვცემს, რომ, როდესაც აშოტი კლარჯეთში გაიქცა, „თანაჰყვეს მას ორნი ძენი, ასაკითა ჩჩვილნი, უხუცესი აღარნასე და ბაგრატი, ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა“ (ქართ. ცხ., 342); „შემდგომად აშოტის სიკვდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდა, წარუდეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს ისინი უსრულ ასაკითა... და ვიდრე უსრულ იყვნეს ისინი ასაკითა, იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა. ხოლო რაჟამს სრულ ასაკ იქმნეს იგინი, კუალადვე მისცა ღმერთმან მათვე ყო-

<sup>7</sup> Marquart-ის აზრითაც ეს გამარჯვება მომხდარა ჯერ კლარჯეთში გადასახლებამდე, მხოლოდ 829 წლის მახლობლად (გვ. 409—410); ეს წელი, ფიქრობ, დაგვიანებულია, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, აშოტის დამხმარე თეოდოსი აფხაზეთის მეფედ მხოლოდ 818 წლამდე ჩანს.



ველივე იგი ნაქონები მამისა მათისა“ (ქართ. ცხ., 345-6). როგორც ვხედავთ, აშოტის გარდაცვალებისას, 836 წელს, მისი უფროსი შვილებიც კი ჯერ მცირეწლოვანნი ყოფილან. აქედან, არამც თუ უფრო ადრე, მერვე საუკუნის გასულსაც რომ გადასახლებულიყო აშოტი ქართლიდან, 836 წელს მისი უფროსი შვილები 36 წლისა მაინც იქნებოდნენ და მემკვიდრე ვერ იტყოდა, რომ ისინი მამის გარდაცვალებისას მცირეწლოვანნი და ასაკითა უსრულნი იყვნენო; ამას ვერ იტყოდა ის ვერც იმ შემთხვევაში, თუ აშოტის სიკვდილს, თანახმად ქრონიკისა, 826 წელს დაედებო, ვინაიდან ამ წელს ისინი, მეტის თუ არა, 26 წლის მაინც იქნებოდნენ. და თუ ის ამას ამბობს, უნდა ვიფიქროთ, ისინი დაბადებულან 820 წლის მახლობლად, არა უადრეს ამ წლისა. სწორედ ამ შემთხვევაში მამის კლარჯეთში გადასახლებისას ისინი „ჩივლნი“ იქნებოდნენ, მამის სიკვდილისას — „ასაკითა უსრულნი“, ხოლო 840—1 წლებში — „სრულ ასაკ ქმნულნი“. ყველაფერი ეს დაყენებით ვეკარნახებს ხელი ავიღოთ როგორც ტრადიციულ შეხედულებაზე აშოტის კლარჯეთში გადასახლების შესახებ, ისე Marquart-ის უკიდურესობაზე, რომელიც ამ გადასახლებას აღ-მამულის უკანასკნელს, 833 წელს აკუთვნებს (გვ. 410).

ახლა აშოტის ქართლში ერისმთავრობის შესახებ. უმეტესი ნაწილი ჩვენი ისტორიკოსებისა აშოტის ქართლში ერისმთავრობას, თანახმად, ვახუშტი ბატონიშვილისა, 786 წლიდან იწყებს<sup>8</sup>. მაგრამ ამ წელს, როგორც აბო თბილელის მარტვილობიდან ჩანს, ქართლის ერისმთავრად ყოფილა სტეფანოზ, ძე გურგენისი, რომელსაც წინ უსწრებდა მისი ბიძა (დედის ძმა) ნერსე (772—781 წწ.). ჩვენი მემკვიდრენი (სუმბატის ქრონიკა, ქართლ. ცხოვრების ვარიანტები, ვახუშტი), რომელნიც ნერსესა და სტეფანოზს ნიშანდობლივ არ ასახელებენ, ამ ხანაში სულ სხვა პირებს უჩვენებენ. გარკვეული დროიდან მათი სქემა ასეთია: სტეფანოზ, გუარამ, ვარაზ ბაკურ და



<sup>8</sup> ე. თაყაიშვილი მას 780 წლიდან იწყებს (ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 3, გვ. 56—59).



ამ სქემაში, რასაკვირველია, გენეალოგიურ სიზუსტეზე ზედმეტია ლაპარაკი, სახელები კი, საფიქრებელია, რაღაც სინამდვილის გამოძახილის შემცველია. თუ ნერსედ ჩვენ მივიღებთ აბო თბილელის „მარტვილობის“ ნერსეს, ხოლო სტეფანოზად მის დისშვილს, აბოს „მარტვილობის“ სტეფანოზს, რომელიც 786 წელს ჩანს ერისმთავრად, მაშინ ასეთს ჩიხში შევალთ: 786 წლიდან ერისმთავრობს (ტრადიციით) აშოტი, როდისღა ერისმთავრობდა სტეფანოზი? ვთქვათ, 786 წლისათვის ის გარდაიცვალა, როდის ერისმთავრობდა ძმა მისი ადარნასე, მამა აშოტისა (თავი რომ დავანებოთ ფილიპესა და გურგენს, რომელნიც, შეიძლება, არც ყოფილან ერისმთავრად)? ამისათვის ყოველ შემთხვევაში ადგილი აღარ რჩება ისტორიაში. აი ეს გარემოებაც გვეუბნება, რომ მიღებული ქრონოლოგია აშოტის ქართლში გაერისმთავრებისა სწორი არაა, ის უნდა წინ წამოიწიოს, და საკმაოდ საგრძნობლადაც. თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ აშოტის ქართლში „განდიდების“ დრო ხვდება, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ხალიფატში ჰარუნ ალ-რაშიდის შვილთა შორის ატეხილი უთანხმოების ხანას, მისი ქართლის ერისმთავრად დადგენაც ამ ხანაზე ადრე საფიქრებელი არაა; ეს დადგენა უნდა მომხდარიყო, როგორც Marquart-იც ფიქრობს (გვ. 405). ალ-მამუნის ხალიფობის პირველს პერიოდში (820 წლამდე), ან, უკეთ, იმ არეულობის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალ-ამინისა და ალ-მამუნის დროს (810—813 წწ.). საფიქრებელია, რომ აშოტის გაერისმთავრება და მისი გაძლიერება ალ-მამუნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული, იყო საქმე მამუნის მოწინააღმდეგე პარტიისა. ამით აიხსნება, რომ, გაიმარჯვა თუ არა საბოლოოდ ალ-მამუნმა თავის მოწინააღმდეგეებზე, მან გაილაშქრა უკანასკნელთა კლიენტების წინააღმდეგ, კერძოდ აშოტის წინააღმდეგაც, რომელიც მან აიძულა მიეტოვებია ქართლი და საბერძნეთისაკენ<sup>9</sup> გაქცეულიყო. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს სომხეთის ისტორიკოსის ვარდანის ცნობაც, რომ აღნიშნული არევ-დარევის დროს სომხეთმა თავისუფლად ამოისუნთქა, ხოლო ჩვენმა აშოტმა, რომელიც მას სომეხთა ბაგრატიონებისაგან გამოჰყავს, ისმაიტელთა მთავრისაგან მიიღო ქვეყანა იბერიისაო (Marquart, გვ. 404, 412).

ასე და ამრიგად, აშოტ დიდი ქართლის ერისმთავრად ხდება დაახლოებით 810 წელს, შავშეთ-კლარჯეთში გადადის 820—825 წლებში, კვდება 836 წელს, ხოლო მისი შვილი ბაგრატ I კურაპალატობასღებულობს 840—41 წლებში. ასეთია, ქართულ-სომხურ-არაბული წყა-

<sup>9</sup> სუმბატის ქრონიკის „საბერძნეთად“ (გვ. 342) ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვივარაუდოთ არა საბერძნეთი ნამდვილად, არამედ კლარჯეთი, რომელიც იმჟამად საბერძნეთს ეკუთვნოდა და რომელშიაც ამიტომ „განემტკიცა მეფობა აშოტისა ემბითა ბერძენთა მეფისაჲთა“ (გვ. 343).

როების შეჭერების შემდეგ, საახლოვებითი ქრონოლოგია აშოტ კუ-  
რაპალატისა. ამის ნიადაგზე ახლა გაადვილებულია საქმე ეფრემ დი-  
ლისა და გიორგი მაწყვერელის ეპოქის გარკვევისა და გათვალისწინე-  
ზისა.

855 წ. იახხუქ ანუ იახუქ ეპისკოპოსი.

IV

ეფრემი — ეპისკოპოსი  
855 წ. იახუქ.

ეფრემ დიდისა და გიორგი მაწყვერელის ეპოქა

ცნობები ეფრემ დიდის შესახებ მოცემულია გრიგოლ ხანძთელის  
„ცხოვრებაში“, ხოლო გიორგი მაწყვერელზე ლაპარაკობს სერაპიონ  
ზარზმელის „ცხოვრება“. ამ თხზულებათა მიხედვით ჩვენ შეგვიძ-  
ლია დავასკვნათ, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ თ ა ნ ერთად (შენიშვნები ზარზმი-  
სა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილ. უნივერ. მოამბე, I, 111),  
რომ გიორგი იყო უშუალო მემკვიდრე ეფრემისა აწყურის კათედრაზე.  
ეფრემი ბავშვობიდანვე აღზრდილა ხანძთის მონასტერში იმ პირთან  
ერთად, რომელიც ისტორიაში ცნობილია ქართლის კათალიკოსის  
არსენ დიდის სახელით. იმ წელს, როდესაც გარდაიცვალა აშოტ დიდი  
კურაპალატი (მაშასადამე, 836 წ.), გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებს,  
თეოდორესა და ქრისტეფორეს, მოწესის ტანისამოსით შეუშმოსავთ  
დიდი აზნაურის მირეანის უმცროსი შვილი და სახელად არსენი უწო-  
ლებიათ. არსენი ამ დროს „მცირე იყო ჟამითა, ვითარ ექუსისა წლი-  
საჲ“ (გვ. კბ), მაშასადამე, დაბადებულია ის 830 წელს. „ხოლო წმიდაჲ  
ეფრემ იყო დღითა უხუცეს“ (გვ. კვ), ესე იგი — უფროსი იყო არსენ-  
ზე, მაგრამ ისიც იმდენად პატარა ყოფილა [„ჩჩვილი“, „ერთი მცირე-  
თავანი“, „ყრმაჲ“, „სძით აღსაზრდელი“, გვ. კე-კვ], რომ ხანძთის  
ბერებს გრიგოლისათვის სასტიკი პროტესტი განუცხადებიათ და უთ-  
ქვამთ; „გარეშე წესისა არს“ პატარა ბავშვების მოყვანა მონასტერ-  
ში<sup>10</sup>. ამისდა მიხედვით, ეფრემი იმ დროს შეიძლება ყოფილიყო არა  
უმეტეს ათი წლისა, მაშასადამე, უნდა დაბადებულიყო დაახლოე-  
ბით 825 წელს. როდესაც ეფრემი „განჭაბუკებელ“ იქნა (გვ. ლე),  
ის გრიგოლმა დაუთმო თავის მოწაფეს თეოდორეს, რომელმაც წაი-

<sup>10</sup> მართალია, მონასტერში წამოყვანილი ეფრემის შესახებ ავტორი ამბობს,  
რომ ის იყო „ყრმა, ჭაბუკი ღირსიო“ (გვ. კბ), მაგრამ სიტყვა „ჭაბუკი“ ამ შემთ-  
ხვევაში აღნიშნავს არა იმას, ვისაც რუსულად, მაგალითად, юноша ეწოდება (ეფ-  
რემის „განჭაბუკებაზე“, რომელიც მას ხელს არ უშლიდა მონასტერში ეცხოვრა,  
სხვა ადგომასა სპეციალურად ლაპარაკი (გვ. ლე), არამედ პატარა ბავშვს. საქმე  
ისაა, რომ ბიბლიაში, მაგალითად, ახლადდაბადებულს ესავსა და იაკობს „ჭაბუკი“  
ეწოდებოდა: „აღორძნდეს ჭაბუკნი იო“ („выросли дети“, — რუსული ბიბლია-  
ით) ნათქვამია იქ (შესაქ. 25, 27).

ყვანა ის სამცხეს და დაამკვიდრა მის მიერ აშენებულ ნეძვის მონასტერში (გვ. ლზ). იქვე, სამცხეში, ეფრემმა დაიკავა შემდეგ აწყურის კათედრა. როდის მოხდა ეს, პირდაპირი ცნობები ამის შესახებ არ მოგვცემება, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა უადრეს 855 წლისა. საქმე ისაა, რომ საეკლესიო კანონებით, რომელთაც ეფრემი თავაზმოდებით იცავდა არსენის ცნობილი ინციდენტის დროს და, რომელთაც ამიტომ, საფიქრებელია, ის ვერ უღალატებდა, ეპისკოპოსად დადგენის კანონიკურ ასაკად იმ ხანებში 30 წელი ( $825 + 30 = 855$ ) ითვლებოდა (Правила прав. церкви с толкованиями Никодима Далматинско-Истрийского, I, 484—486; 35 წელი, განმტკიცებული შემდეგ დამუშავებული ფოტის ნომოკანონით, საქართველოში სანქციაქმნილია რუის-ურბნისის კრებაზე მხოლოდ). „ესწ ნეტარი ეფრემ ორმეოც წელ ეპისკოპოსობდა“ (გვ. მთ), „ეპისკოპოსობასა შინა მიიწია მოხუცებულებასა კეთილსა“ (გვ. კბ) და „კეთილსა შინა სიბერესა მადლითა სავსე გარდაიცვალა“ (გვ. ნ). ამგვარად, ეფრემი, თუ ის 855 წელს დაიდგინა ეპისკოპოსად და 40 წელს ეპისკოპოსობდა, გარდაცვლილა 895 წელს. ამ ქრონოლოგიას მხარს უჭერს შემდეგი ცნობაც. „დიდი ეფრემ,“ ნათქვამია გრიგოლის „ცხოვრებაში“, „მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალსა კათალიკოსთა მიპრონი იერუსალჴმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტჴს-მიერითა ბრძანებითა მიპრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსალჴმის პატრიარქისა განწესებითა და წამებითა“ (გვ. მთ). ამ საქმეში ეფრემს შველოდნენ ბერები მიქაელი და არსენი, რომელთაც, როგორც ერთ-ერთს აღაპშია აღნიშნული, იერუსალიმის პატრიარქის სერგის ნებართვით იერუსალიმიდან გადმოიტანეს მცხეთას მირონის კურთხევა (Н. Марр, Исторический очерк грузин. церкви с древнейших времен, Церковн. Ведомости, 1907, № 3, прилож., стр. 126). სერგის პატრიარქობას უჩვენებენ 851—867 წლებში, მაშასადამე, ის მართლაც თანამედროვეა ეფრემ მაწყვერელისა. ეფრემს თანამედროვე პატრიარქის სერგის წინაშე წამოუყენებია მირონის საკითხი, რომელსაც ამ დროს ქართლისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა<sup>11</sup>.

<sup>11</sup> ამგვარი საეკლესიათაშორისო საქმეების წარმოება კათალიკოსის კომპენტენციაში შედიოდა ხოლმე და არა რომელიმე ეპარქიალური მღვდელმთავრისა, თუ გინდ მაწყვერელისა; ამიტომ, თუ ამ საქმეს ეფრემ მაწყვერელი აწარმოებს, ან კათალიკოსის მინდობილობით, ანდა როგორც საფიქრებელი მოადგოლე იმ დროს გარდაცვლილი კათალიკოსისა. მართლაც, იმავე ხანებში მომხდარა არსენ ღიღის ძალდატანებით დადგენა კათალიკოსად; სასტიკი პროტესტი ეფრემისა ამის წინააღმდეგ ხომ არ იყო შედეგი აგრეთვე იმისაც, რომ ეფრემს, როგორც კათალიკოსის მოადგილეს, თავისი კანდიდატურა ჰქონდა მხედველობაში?



ამრიგად, 895 წლამდე მაწყვერელად ზის ეფრემ დიდი, ხოლო 895 წლიდან გიორგი შუარტყელი. გიორგის მაწყვერელად გახდომის თარიღთან დაკავშირებით სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

გიორგი შუარტყელი, ჯერ კიდევ ეპისკოპოსობამდე, თბილის მონასტრიდან, სადაც ის ბერად იყო შემდგარი, აღის მიქელ პარეხელთან და აქ გაიცნობს სერაპიონს (ცხოვრ. სერაპ. ჯანაშ. გამ. 27 — 28); ეს ნაცნობობა მეგობრობად ქცეულა და არ შეწყვეტილა სერაპიონის სიკვდილამდე (გვ. 35). ასე რომ, გიორგი უშუალოდ მოწმი იყო სერაპიონის მოღვაწეობისა, „მას ეხილვნეს სასწაულნი და საქმენი სერაპიონისნი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანახსენელ“ (გვ. 41). ოთხი წლით ადრე, ვიდრე გიორგი მაწყვერელად დაიდგინებოდა, მასამდე, 891 წელს, გარდაცვალებულის ფეოდალის გიორგი ჩორჩანელის სამფლობელოში მემკვიდრეობითი საკითხის ნიადაგზე ტრაგედია დატრიალებულა: გიორგის დისშვილს ლაკლას მოუკლავს თავისი დის ქმარი, რამაც სამცხეში ნამდვილი ანარქია გამოიწვია (გვ. 41). ეს ანარქია შვიდ წელიწადს გრძელდებოდა და ჩაქრა ის გიორგის მეცალინეობით მისი მაწყვერელობის მესამე წელს, ესე იგი 898 წელს; ამ დროს „დიდსავე თანა გიორგი მაწყურელსა იყო ნეტარიცა მამა სერაპიონ“ (გვ. 41), მასამდე — 898 წელს სერაპიონი ჯერ კიდევ ცოცხალია. ის ამის შემდეგაც არ მომკვლარა უმალ, არამედ რამდენსამე ხანს კიდევ განაგებდა თავის მონასტერს; ეს ჩანს ჰაგიოგრაფის შემდეგი სიტყვებიდან: „და ვითარცა იქმნა დაწყნარება შფოთთა მათ, დღითიდრე შეეძინებოდა წარმატებაჲ მონასტერსა მას და ძმაჲცა მისი (სერაპიონის) იოანე ზედადსზედა მოვალნ და იკურთხევინ მის მიერ და ისწავლინ ყოველსა, რაჲცა აკლდა მის მიერ შენებულსა მას მონასტერსა“ (გვ. 37). ასე რომ, სერაპიონის გარდაცვალება უნდა მეცხრე საუკუნის მიწურულში, არა უადრეს 900 წლისა, დაიდოს.

როდის ჩაუყარა სერაპიონმა საფუძველი ზარზმას? ამის გასარკვევად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი დეტალი მისი „ცხოვრებისა“. ჰაგიოგრაფი გადმოგვცემს, რომ, როდესაც სერაპიონმა დაასრულა ზარზმის ძველი ტაძრის შენება, ის გაიწვია თავისთან მისმა მოძღვარმა მიქელ პარეხელმა, რათა „ზედმოწვენიტ ცნას, თუ ვითარ იქმნა შენებაჲ ზეცით-უწყებულისა მის ადგილისაჲ“ (გვ. 28). სერაპიონი წავიდა, რამდენიმე ხანი დაყო მიქელთან და, უკან გამობრუნებულმა, შეუხვია თბილის მონასტერში, სადაც იმ დროს მიდიოდა რაღაც გაცხარებული მუშაობა. „ვითარცა იყო წმიდაჲ იგი მდაბალ და აღუზავებელ“, ამბობს ჰაგიოგრაფი, „ტკბილითა და დაშნითა კელითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუთავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა



[შენებისათა] და ფრიად შემკულ წესითა ზუროთხუცობისაჲთა“ (გვ. 30); ეს ადგილი, რომელსაც ხელნაწერში რაღაც დაწვრილებითი, დღეს სამწუნაროდ დაკარგული, მოთხრობა უძღოდა წინ, დამახინჯებულად ჩანს, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ოპიზის შენებაზე, ან. უკეთ ვთქვათ, მის გადაკეთებაზე, მეორედ შენებაზე. რადის მოხდა ოპიზის მეორედ შენება? ამის შესახებ ორი სხვადასხვა ცნობა შენახულა. ერთი ცნობით, რომელიც მემპტიანეს შემოუწნახავს, ოპიზის მეორედ მაშენებელი გვარამ მამფალია (გარდ. 883 წ.). „მოკუდა გუარამ, ძე აშოტისი“, ნათქვამია იქ, „და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა“ (ქართ. ცხოვრ. გვ. 225). მეორე ცნობით კი, რომელიც თვით ოპიზის კედლის მხატვრობაზე შემონახულა, მის მეორედ მაშენებლად აშოტ კურაპალატი დასახელებული; იქ წარწერილია: „აშოტ კურაპალატი, მეორედ მაშენებელი ოპიზისაჲ და წმიდისა ამის საყდრისაჲ“ (H. M a r p, Тексты и разыскания, VII, стр. 160). ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ იგულისხმებოდეს აშოტ დიდი კურაპალატი (+836), რადგანაც არც მპტიანიდან, არც სხვა დოკუმენტებიდან, არც გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებიდან“, სადაც ამის შესახებ რაიმე ცნობა უთუოდ დარჩებოდა, ის ეკლესია-მონასტრების, კერძოდ ოპიზის, მაშენებლად ცნობილი არაა. ვერ ვიგულისხმებთ აქ ვერც აშოტ კუხს (გარდ. 918), რადგანაც, ჯერ ერთი — ის „ერისთავთ ერისთავადა“ ცნობილი და არა კურაპალატად, მეორე — თუ ჩვენამდე მოაღწია ცნობამ მის მიერ ტბეთის მონასტრისა და ხანძთის ახალი ეკლესიის აშენების შესახებ, რატომ უნდა დაკარგულიყო ასეთივე ცნობა ოპიზის შესახებ? ვერ ვიგულისხმებთ, დასასრულ, ოპიზის მეორედ მაშენებლად ვერც იმ აშოტ კურაპალატს (გარდ. 954), რომლის დროს გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“ დაწერილა, ვინაიდან მშენებლად არც ისაა ცნობილი, და რომ ასეთი რამ მომხდარიყო მის დროს და მის მიერ, ალბათ ამას გიორგი მერჩულიც აღნიშნავდა. ამრიგად, დასახელებული წარწერა, რომელიც ნ. მარის ცნობით თამარ მეფის დროისაა, წარმოადგენს ყალბ ინტერპრეტაციას. საქმე ისაა, რომ ოპიზის სატრაპეზოში სამხრეთის კამარის ქვაზე ამოჭრილი ყოფილა თვით სატრაპეზოს აშენების დროინდელი შემდეგი წარწერა: „ესე მე აშოტმან დ წელსა გავა[შენებინე <კეთებინე]<“. თამარის დროის მომხატვრეებს ამ ლაპიდარული ძეგლის აშოტი, რომლის სახელთან არავითარი ტიტული არაა აღნიშნული, მიუღიათ დიდ აშოტ კურაპალატად და ასეთი გაიგივების ნიადაგზე შესაფერისი წარწერაც გაუკეთებიათ. ამრიგად, ოპიზის მეორედ მაშენებლად უნდა გვარამ მამფალი იქნეს ცნობილი, თანახმად მპტიანისა, მით უმეტეს, რომ გარდა იმისა, რომ ის ოპიზაში დაიმარხა, მისი კტიტორული მზრუნველობა ოპიზისათვის დამოწმებულია ბაგრატ მეოთხის ცნობილს სიგელში,

საიდანაც ჩანს, რომ გვარამს ოპიზისათვის შეუწირავს „ტყენი და ზღვარნი“, რომელთაც მას მიჯნაძორელნი ედავებოდნენ (საქართველოს სიძველენი, II, 2—5); უეჭველია, სიტყვები ამ სიგელისა—„პირველთა მეფეთა მამენებელთა“, — გულისხმობს გვარამის მიერ ოპიზის მეორედ აშენებასაც. მაშ ვინ უნდა იყოს ლაპიდარული ძეგლის აშოტი, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში სატრაპეზო აუშენებია? მე ვფიქრობ, რომ ეს აშოტი არის ძე გვარამ მამფლისა, აშოტ მამფალი (გარდ. 869). ჩანს, მამასთან ერთად ოპიზის მეორედ აშენებაში მონაწილეობას ღებულობდა შვილიც, ამიტომ „მშენებლად“ ცნობილნი გამხდარან როგორც მამა, გვარამი (მატიანეში), ისე შვილი, აშოტი (ლაპიდარულ ძეგლში)<sup>12</sup>. ამრიგად, ოპიზის მეორედ შენება 869 წლისათვის, როდესაც აშოტ მამფალი გარდაიცვალა, უკვე დამთავრებულია საგულვებელი; ეს შენება, როგორც ლაპიდარული ძეგლიდანაა საფიქრებელი, ოთხ წელიწადს მაინც გაგრძელებულა, ასე რომ, მას ადგილი ჰქონია დაახლოებით 864—868 წლებში, რა დროსაც უნდა მიგაკუთვნოთ ოპიზაში სერაპიონის გამოვლა. რადგანაც სერაპიონის ოპიზაში გამოვლისას ზარზმა უკვე დამთავრებული იყო, ხოლო მისი შენება, როგორც თხზულებაშია ნაჩვენები, სამს წელიწადს დამთავრებულია (გვ. 26), ამიტომ მისი საფუძვლის ჩაყრას 860 წელს ვერ ვადმოვაცილებთ. ასე რომ, ზარზმა სერაპიონს აუშენებია დაახლოებით 861—868 წლებში.

ამ თარიღამდე მიგვიყვანს ჩვენ მიქელ პარეხელის დროის მიმოხილვაც. მიქელი, რომლის შესახებ ლაპარაკი გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაშიც“ არის, ყოფილა შეგირდი, მოწაფე გრიგოლისა, ამიტომაცაა, რომ ამ თხზულებაში გრიგოლს ეწოდება „მოძღუარი“, „სულიერად მოძღუარი“ მიქელისა (გვ. ლვ). ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გრიგოლისა და სერაპიონის „ცხოვრებაში“ მოხსენებული მიქელ პარეხელი ერთიდაიგივე პირია (ამის შესახებ იხ. ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის შესახებ, უნივერ. მოამბე, I, 113), საჭიროა აქ შეჩერება თხზულების შემდეგ სიტყვებზე: „ხოლო ესე სიტყუად მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო

<sup>12</sup> დოკ. ნ. ბერძენიშვილის ჰიპოთეზით „მეორედ აშენება“ შეიძლება ტექნიკური ტერმინი იყოს და რამდენჯერმე განახლებასაც გულისხმობდეს. ასე რომ, ამ გავებით, აშოტ კურაპალატსაც შეეძლო ოპიზის „მეორედ აშენება“ და გვარამსაც (საქართ. მუზეუმის მოამბე, VI, 285). ეს ასეც რომ იყოს (თუმცა აშოტ კურაპალატის მიერ განახლებულ ოპიზას რად დასტურდებოდა ან მალე, გვარამის დროს, ხელმეორედ განახლება?), ჩემი მოსაზრება მაინც ძალაში დარჩება: სერაპიონი, ყოველ შემთხვევაში, აშოტ კურაპალატის მიერ ოპიზის „მეორედ მშენებლობის“ მოწმე და თანამედროვე ვერ იქნებოდა და მის დროს ოპიზის „მეორედ მშენებლად“ მაინც გვარამი დარჩებოდა.

აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ,  
 რომელი იყო მოწაფე დიდისა შიომისი საკვირველთმოქმედისაჲ, რო-  
 მელი, ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქარ-  
 თლისასა“ (გვ. 5). მიქელ პარეხელი (IX ს.) შიო მღვიმელის (VII ს.) მო-  
 წაფე ვერასგზით ვერ იქნებოდა, სხვა შიო კი, საკვირველთმოქმედი,  
 რომელიც „ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა  
 ქართლისასა“, ჩვენ არ ვიცით. ამიტომ, თუ ამ ადგილს ბასილ ზარზ-  
 მელს მივაკუთვნებდით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მის შრომაში  
 „შიოს“ ნაცვლად იკითხებოდა სახელი „გრიგოლ“, რომელიც, ნუსხა-  
 ხუცურად ქარაგმით დაწერილი („გლისი“ ან „გილისი“), შემდეგი დრო-  
 ის უმეცარი გადამწერის თვალსა და ხელში „შიოდ“ ქცეულა. მაგ-  
 რამ საქმე ისაა, რომ ამ ადგილის მიკუთვნება ბასილისათვის შეუძლუ-  
 ბელია: ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მიქელ პარეხელის უშუალო  
 მოწაფეებს, სერაპიონსა და გიორგი მაწყვერელს, რომელნიც (ყოველ  
 შემთხვევაში უკანასკნელი მაინც) ზასილს ფაქტობრივ ცნობებს აწვდი-  
 დნენ, არ სცოდნოდათ, რომ მიქელი მოწაფე იყო არა შიომისი, არამედ  
 გრიგოლისა; გარდა ამისა, ბასილს ხელთ ჰქონია თვით „ცხოვრება“  
 მიქელისა, დაწერილი მისი მოწაფეების მიერ (გვ. 6) არა უადრეს 40—  
 50 წლისა ბასილის მამასახლისობამდე, ამიტომ გაუგებარი იქნებოდა  
 მისგან თქმა იმისა, რომ ასეთი ცნობა „მამათა მიერ მოვალს ჩუენდაო“:  
 ასეთი გამოთქმა, რომელიც გულისხმობს ზეპირი გადმოცემით მიღე-  
 ბულს რამდენიმე საუკუნოვან ამბავს, შეეძლო შეეერთა თხზულებაში  
 მის გადამკეთებელს, მეტაფრასტს. ამ გადმოცემაში ის კი შენახულა,  
 რომ მიქელის საკვირველთმოქმედი მოძღვარი „ვითარცა მთიები  
 ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“, მაგრამ ის კი წარყვნილა—თუ რა  
 ერქვა ამ მოძღვარს. ამოწერილი სიტყვების უადგილობრასა და შემდეგ  
 ჩამატებულიანს ამჟღავნებს სხვა მოსაზრებაც. ბასილი ამბობს: მი-  
 ქელმა „აღაშენა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი ძმათაჲ ად-  
 გილსა... რომელსა პარეს უწოდიან“. როგორ შეეძლო მას უშუალოდ  
 ამ სიტყვების შემდეგ ეთქვა: „ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს  
 ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი“? ეს მიქელა,  
 გიორგი მერჩულის ცნობით, თავდაპირველად მოღვაწეობდა მიძნა-  
 ძორში, იქიდან ხანძთას მისულა გრიგოლთან, ხოლო გრიგოლიდან  
 პარესს დამკვიდრებულა (გვ. ლზ—ლზ); ბასილის ცნობით კი ის პა-  
 რესს თბიზიდან მისულა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სამონასტრო ტრადი-  
 ციის ორ სხვადასხვა ვერსიასთან, რომელთაგან ბასილის ვერსია სიმა-  
 რთლის შემცველია: ბასილის წყაროს, გიორგი მაწყვერელს, რომე-  
 ლიც თბიზაში მოღვაწეობდა და მიქელთან დაახლოებული იყო, არ  
 შეეძლო ამ შემთხვევაში ჭეშმარიტება არ სცოდნოდა. ყოველ შე-  
 მთხვევაში, ეს ორი ვერსია კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს:



მიქელს მოღვაწეობა დაუწყია ოპიზას, აქედან გადასულა მიძნა-  
ეორს, უკანასკნელიდან ხანძთას, ხანძთიდან კი პარეხს. თუ ბასილს  
არ მოუხსენებია მიქელის მიხნადორსა და ხანძთას ყოფნა, იმიტომ ალ-  
ბათ, რომ აღნიშნულს სავანეებში მიქელს შედარებით მცირე დრო და-  
უყვია.

თხზულების მოთხრობიდან ჩანს, რომ მიქელი გარდაცვლილა მალე  
მას შემდეგ, რაც ის სერაპიონმა ინახულა, არა უგვიანეს მე-9 საუკუ-  
ნის სამოციანი წლების გასვლისა.

როდის უნდა მისულიყო მიქელი ხანძთას გრიგოლთან? გრიგოლის  
„ცხოვრების“ მიხედვით მიქელი ხანძთას მისულა მას შემდეგ, რაც  
„ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთა-  
ჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მიიღო კურაპალატობაჲ,  
ნაცვალად აშოტ კურაპალატისა, მამისა თჳსისა“ (გვ. კმ). ბაგრატის  
კურაპალატობა, როგორც გარკვეულია ზემოთ, 840 წელზე ადრე არაა  
საფიქრებელი, მაშასადამე, მიქელი ხანძთის მონასტერში მისულა 840  
წლის მახლობლად.

იქ მიქელი დიდხანს არ დარჩენილა; ის გრიგოლის „განზრახვითა  
დაემკვდრა ბერთისა პარეხთა“, სადაც „მრავალთა წელიწადთა ცხოვ-  
ნა“ (გვ. ლმ). მიქელმა გააშენა და კეთილმოაწყო პარეხი, შემოიკრიბა  
ნა მოწაფენი და, როდესაც ის გახდა უკვე „დიდი“ და „ყოვლად გან-  
თქმული“ (სერაპ. ცხორ. 5—6), მასთან მიდის სერაპიონი თავისი მცი-  
რეწლოვანი ძმით იოანეთი და მოღვაწეობას იწყებს. ამისდა მიხედ-  
ვით, სერაპიონის სამონასტრო მოღვაწეობის დასაწყისი 850 წელზე  
ადრე არაა საგულეველი. სერაპიონმა და იოანემ „აღასრულეს  
ჟამი მრავალი წინაშე მისსა“ (გვ. 6) და ამის შემდეგ სერაპიონი მიდის,  
მიქელის ბრძანებით, სამცხეს მონასტრის გასაშენებლად. ეს „ჟამი  
მრავალი“ ყოველ შემთხვევაში ათს წელზე ნაკლები არ შეიძლება  
ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ სერაპიონის მცირეწლოვანი ძმა, რო-  
მელიც მონასტერში მოსვლისას ჯერ სულ ბავშვი იყო, ამ ხნის განმა-  
ვლობაში მიქელმა „აღზარდა და სრულებად სათნოებისა აღიყვანა“,  
(გვ. 6), ესე იგი — სრულწლოვანი შეიქნა უკვე. ასე რომ, ამ გამოან-  
გარიშებითაც სერაპიონს ზარზმის შენება უნდა დაეწყო არა უადრეს  
860 წლისა. იგივე უნდა ვიქონიოთ, რომ, თუ ოდესმე აღმოჩნდა „ცხო-  
ვრება“ მიქელ პარეხელისა, რომელიც „შემდგომად სიკუდილისა მისი-  
სა აღწერეს მოწაფეთა მისთა“, ამ საკითხს უფრო მეტი სინათლე მოე-  
ფინება.

ამნაირად, სერაპიონს სამონასტრო მოღვაწეობა დაუწყია პარეხს  
850 წლის ახლო ხანებში, ზარზმა აუშენებია 861—868 წლებში, ხო-  
ლო გარდაცვლილა ის არა უადრეს 900 წლისა.



✓ სერაპიონის შემდეგ ზარზმის მამასახლისად დადგენილ იქნა გიორგი (გვ. 34), რომელიც, „ვითარცა წარცდეს წელნი მრავალნი“, გარდაიცვალა (გვ. 41). რამდენ ხანს იყო გიორგი მამასახლისად? ✓ მისი გარდაცვალების შემდეგ წინამძღვრად დაიდგინა ვინმე მიქელი, რომელმაც იმავე წელს „თთუესა ივნისსა ოთხსა, დღესა ხუთშაბათსა“, იწყო ზარზმის ახალი ეკლესიის შენება (გვ. 42). სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ 4 ივნისი ხუთშაბათს მოდიოდა 901 და 907 წლებში. 901 წელს ჩვენ ვერ ავიღებთ მიქელის მამასახლისობის დასაწყისად, ვინაიდან სერაპიონის გარდაცვალება არც იმდენადაა დაშორებული 901 წელს, რომ შესაძლო იყოს თქმა: „გარდაცდეს წელნი მრავალნი“, ამიტომ გიორგის მამასახლისობის დასასრულად და მიქელის დასაწყისად უნდა 907 წელი დაიდოს. მიქელმა ეკლესია ააშენა „ვიდრე სამჯურმდე“ (გვ. 43) და გარდაიცვალა, მონაცვალედ მისა დაიდგინა ვინმე პავლე, რომელმან „სრულყო ეკლესია და შეამკო ყოვლითა სამკაულითა და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა“ (გვ. 43). თხზულებაში არავითარი ცნობა არ მოიპოვება მიქელისა და პავლეს მამასახლისობის ხანგრძლივობის გასარკვევად, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მათ დიდებული ტაძარი ააშენეს, რასაც მათს პირობებში საკმაოდ დრო მოუწოდებოდა (ნახევარზე მეტი შემოწირულებათა გზით აშენდა), თითოეულისათვის საშუალო რიცხვით ათი წელიწადი მაინც უნდა ვივარაუდოთ, ასე რომ, მიქელის მამასახლისობა დამთავრდება დაახლოებით 916 წელს, პავლესი კი—926-ს.

წარმოდგენილს ქრონოლოგიას საფუძველს აცლის თითქმის ერთი გარემოება. საქმე ისაა, რომ პავლეს მამასახლისობას, როგორც ვნახეთ, მე ვღებ მეთავე საუკუნის პირველი მეოთხედის მიწურულში, ნამდვილად კი ჩვენამდის შენახულა ის ფერისცვალების ხატი, რომელიც მან დაასვენა მის მიერ დამთავრებულს ზარზმის ახალს ეკლესიაში და რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონია: „სახელითა ღმრთისათა შეიმოსა ხატი ესე წმიდა... მამასახლისობასა პავლესსა, ქორონიკონი იყო რვ“. მაშასადამე, პავლე მამასახლისად ყოფილა ქორონიკონსა რვ, ესე იგი 886 წელს, თითქმის 40 წლით ადრე, ვიდრე მე ვგულისხმობ (ამ წარწერისა და მის გარშემო არსებული ლიტერატურის შესახებ იხ. ექ. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილ. უნივერ. მოამბე, I, გვ. 104—124). როგორ შემოუაროთ ამ ფაქტს?

✓ ჯერ კიდევ სანამ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ აღმოჩნდებოდა, ექ. თაყაიშვილი სამართლიანად ამბობდა: „ამ წარწერაში პირველ ყოვლისა საეჭვოა ქორონიკონი... ასოები რვ, რომელნიც მე

თვითონ ვნახე, უძველესად ამ წარწერიდანაა მოგლეჯილი, მაგრამ სა-  
კითხავია, რომელ სტრიქონს ეკუთვნის ისინი? თუ იმათ ჩვენ მეორე  
სტრიქონს მივაკუთვნებთ, შესაძლოა ისინი მივიღოთ რიცხვის მაჩვენებელ  
ასოებად, მაგრამ, თუ მათ მივაკუთვნებთ პირველ სტრიქონს,  
რომელიც აგრეთვე დეფექტიანია, შესაძლოა იქნება ისინი მივიჩნიოთ  
ქარაგმით გადმოცემული სიტყვის „ერვსა“ (= ერისთავსა) ნაშთად“  
(Археолог. экскурсии, разыскания и заметки, I, стр. 68, 1905  
г.). მას შემდეგ, რაც სერაპიონის „ცხოვრება“ აღმოჩნდა, ე. თაყაი-  
შვილმა, რომელიც სერაპიონის სამონასტრო მშენებლობის მოღვაწე-  
ობას მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში სდებდა და რომელსაც  
ამიტომ პავლეს მამასახლისობა იმავე საუკუნის ოთხმოციან წლებში  
ბუნებრივად და დასაშვებად ეჩვენებოდა, აზრი შეიცვალა და აღნიშ-  
ნული „ქორონიკონის“ გადაარჩენა წარწერის ნატეხების თავისებური  
„შეკოწიწებით“, როგორც თვითონ ამბობს, მოინდომა (ტფილ. უნი-  
ვერს. მოამბე, I, 107); მაგრამ მას გამოეპარა, როგორც ეს თავის  
დროზე პროფ. ივ. ჯავახიშვილმაც აღნიშნა (ქართული პალეოგრაფია,  
გვ. 166—7), შემდეგი გარემოება: პავლეს მამასახლისობის დროინდელ  
წარწერას ხატის შემოსვლის შესახებ იმავე ნაჭერზე, რომელზედაც ის  
გამოყვანილია, უშუალოდ მისდევს იმავე ხელით შესრულებული მე-  
ორე წარწერა, რომელშიაც ხატის შემოსვლად თავის თავს ასახე-  
ლებს ვილაც ზვიად ერისთავი, უძველესი პავლეს მამასახლისობის  
მერმინდელი პირი. როგორ მოხდა, რომ ორი სხვადასხვა დროის  
წარწერა ერთ ნაჭერზე და ერთიდაიმავე ხელით გამოყვანილი აღმოჩ-  
ნდა? ეს გარემოება საეჭვოდ ხდის, რომ ასოები რვ რიცხვობრივი მნი-  
შვნელობისა და პავლეს მამასახლისობის ქორონიკონის მაჩვენებელი  
იყოს. რაც დაახლოებითი და სიზუსტეს მოკლებული არ უნდა იყოს  
ჩემი გამოანგარიშება, ყოველ შემთხვევაში, პავლე 885 წელს მამასა-  
ხლისად ვერ იქნებოდა. თხზულებიდან პირდაპირ ჩანს, რომ სერაპი-  
ონი გიორგის მაწყვერელად გახდომის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში,  
ხუთი წლის განმავლობაში კიდევ ცოცხალია. გიორგი უშუალო მო-  
მდევნაა აწყურის კათედრაზე ეფრემ დიდისა, რომელიც 40 წელს  
იყო მაწყვერელად; ეფრემი დაბადებულია, როგორც დავიანათი, არა  
უადრეს 825 წლისა. რაც ადრე არ უნდა გამხდარიყო ის, საეკლესიო  
წესების წინააღმდეგ, ეპისკოპოსად (არის შემთხვევები ამ წესების და-  
რღვევისა), სულ უკანასკნელი საზღვარიც რომ ავიღოთ მისი ეპისკო-  
პოსად გახდომისა, — 20 წელი — ამაზე ძირს წასვლა ხომ შეუძლე-  
ბელია (ანტონ I კათალიკოსი ეპისკოპოსად აკურთხეს 21 წლისა),  
მაშინაც კი 886 წლის გამართლება შეუძლებელი იქნება: ეფრემის გა-  
რდაცვალება (825+20+40) და გიორგის მაწყვერელად გახდომა მოვა

ამ შემთხვევაში 885 წელს, სერაპიონის გარდაცვალება კი 890-ს<sup>13</sup>. ამიტომ რე ასოებს უნდა სამუდამოდ გამოვეთხოვოთ, როგორც ქორონიკონს პავლეს მამასახლისობისას, და ეს მამასახლისობა გადავიტანოთ, თანახმად ყოველივე ზემონათქვამისა, მეათე საუკუნის პირველი მეოთხედის მიწურულში. თუ ამ ასოებს მაინცდამაინც ქორონიკონის მნიშვნელობას მივცემთ და პავლეს სახელის შემცველ წარწერას, პროფ. ი. ჯავახიშვილთან ერთად, ზვიად ერისთავის დროს მექანიკურად გადმოწერილად ვივარაუდებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ქორონიკონი წარყვნილადაა გადმოწერილი, რომ თავდაპირველს დედანში იყო არა რვ, არამედ ან რლვ (916) — დასაწყისი პავლეს მამასახლისობისა, ან რმვ (926), — მისი დასასრული. ამის საფუძველს ისიც მოგვცემდა, რომ, როგორც ცნობილია, საზოგადოდ მთელი წარწერა ძალზე წარყვნილია, იმდენად, რომ მისი ნამდვილი სახის აღდგენა ძნელია<sup>14</sup>.

პავლეს შემდეგ წინამძღვრობა მიუღია სერაპიონის ძმისშვილს ბასილს, მამასადამე, მისი მამასახლისობის დასაწყისი მოდის მეათე საუკუნის მესამე ათეულის მიწურულში. დიდხანს ის არ უნდა გაგრძელებულიყო, როგორც ეს ჩანს პავლიკოგრაფის შემდეგი სიტყვებიდან: ბასილმა „კეთილად იღუაწა ჟამ რაოდენმე ადგილი იგი, ნამუშავევი მამის ძმისა თვისისა“ (გვ. 44—45). ბასილმა ზარზმასი მისულა „შემდგომად ჟამთა მიცვალებისა“ (გვ. 43) სერაპიონისა; მოთხრობის ხასიათი ნებას იძლევა დაეასკვნათ, რომ, თუ ცოტათი უფრო ადრე არა, პავლეს მამასახლისობაში ის იქ იმყოფება. მონასტერში

<sup>13</sup> ვერ გადარჩება 886 წელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა ამასთან ეფრემ მაწყვერელის დაბადებას დავდებთ არა 825, არამედ 815 წელს (ამაზე ადრე აღარ შეიძლება); ამ შემთხვევაში გიორგის მაწყვერელად გახდომა მოვა 875 წელს, სერაპიონის გარდაცვალება კი 880 წელს; ნუთუ გიორგი მამასახლისის „მრავალწელნი“ და მისი მომდევნო მიქელის აღმშენებლობითი მუშაობა 880 — 886 წლებში ჩაეტევა?

<sup>14</sup> უკანასკნელად ექ. თაყაიშვილმა ამ წარწერის გაურკვეველი ასოები „მწ და მს აგსა“ წაიციხა ასე. შეიძლება ხტი ესე „წედა მაწყვერელისა გიორგისა“. შეიძლება ასეთი წაკითხვა ვისმე უეჭველად ეჩვენებოდეს, მაგრამ ჩემთვის ის უცილობელი არაა, რადგანაც ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ზმნის ფორმა „მწედა“ თუ „შემწედა“, რომელიც მოცემულს კონსტრუქციაში არაბუნებრივია. ამ ასოების ფრაგმენტებში ყველას თავისებური სახელების ამოკითხვა შეუძლია, არანაკლები უფლებით მე, მაგალითად, იმას ასე წაკითხავდი: „შეიძოსა ხატი ესე, მწე (გიხდა — შემწე) დიდისა (და) მთავრისა (მსა) გიორგისა (გსა)...“ რასაკვირველია, ვილაც სხვა გიორგისა და არა ჭორჭანელისა, როცელი პავლემდე გარდაიცვალა. თუნდაც რომ ამ ასოებში გიორგი მაწყვერელის სახელი ამოვიკითხოთ მართლა, ჩემს ქრონოლოგიურ კონცეფციას ამით არაფერი დააქლდება, რადგანაც პავლეს მამასახლისობას მე 916 წლიდან ვიწყებ დაახლოებით, გიორგი მაწყვერელი კი 920 — 925 წლებში ცოცხალთა შორის არის საგულებელი.



დამკვიდრების შემდეგ ის შესდგომია თავისი ბიძის საფლავის გამშვენებას და მისი ხსენების უკვდავყოფას; მას არ მოსწონებია, რომ განსვენებულის სამარხო მოთავსებული იყო „ადგილსა ფარულსა“ (გვ. 43), ამიტომ შეუმზადებია ახალი ქვის ლარნაკი, რომელშიაც ჩაუსვენებია თავისი ბიძის ნეშტი და დაუსვენებია „საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისა“ (გვ. 44); ლარნაკზე აუმათნია წინამორბედის სახელობის ჭუარი, მონასტრის წინამძღვრისა და კრებულის გადაწყვეტილებით გაუმწესებია მის საფლავზე მწირველი მღვდელი და განუკუთვნია მისი ყოველწლიური ხსენებისათვის 29 ოქტომბერი. ყველაფერი ეს მომხდარა პავლეს მამასახლისობაში; ეს იქიდან ჩანს, რომ პავლიოზრაფი (მეტაფრასტი) ჯერ გადმოგვცემს ამ ამბებს და შემდეგ უშუალოდ განაგრძობს: „ხოლო ამისა შემდგომად ბასილი მითუალა წინამძღურობაჲ“ (გვ. 44—45). ამავე დროს და არა მამასახლისობაში, როგორც აქამდე ვფიქრობდით, უნდა დაეწერა მას სერაპიონის „ცხოვრება“; ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ყველა ზემოჩამოთვლილის დასავგირგვინებლად მას უნდა უკვდავეყო სერაპიონის სახელი და სახსენებელი მისი „ცხოვრების“ დაწერითაც. მართლაც, ეს თხზულება რომ ბასილის მიერ მის წინამძღვრობამდეა დაწერილი, პავლეს მამასახლისობაში, ეს შემდეგიდან ჩანს: 1. ბასილი თვითონ ამბობს: „მე, უნარჩევესი ყოველთა მოწესეთა“ (გვ. 43), რაც გულისხმობს, რომ ის ჯერ კიდევ უბრალო მოწესეთა და არა მამასახლისი; 2. ის აღნიშნავს პავლეს საქმიანობას, მის მიერ ახალი ეკლესიის დამთავრებასა და კურთხევას, მაგრამ სიკვდილის შესახებ არას ამბობს (სხვა მამასახლისების შესახებ მოთხრობაში ის ყოველთვის მათს სიკვდილსაც აღნიშნავს ხოლმე), მაშასადამე, როდესაც თხზულება იწერება, პავლე ჯერ კიდევ ცოცხალია. 3. საქირო მასალას განზრახული შრომისათვის ბასილს აწვდის, სხვათა შორის, გიორგი მაწყვერელი; საეჭვოა, რომ გიორგის ცხოვრება მეათე საუკუნის პირველს მეოთხედს გადასცილებოდა. საქმე ისაა, რომ გიორგი მეცხრე საუკუნის სამოციან წლებში როდესაც სერაპიონი ზარზმას აშენებდა, უკვე ბერადაა ობიზის მონასტერში და აქტიური წევრია იქაური ძმობისა, ამიტომ, მეტის თუ არა, 20 წლის მაინც უნდა ყოფილიყო ამ დროს, ასე რომ, მეათე საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს ის 80 წელზე ნაკლების აღარ იქნებოდა. გიორგი მერჩული, ავტორი გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებისა“, მას სტეფანე მტბევარის თანამედროვედ თვლის, როდესაც ამბობს, რომ ამ „ცხოვრების“ დაწერას მე მოველოდი „ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა... ქრისტეს მღდელთ-მოძღუარნი ღირსნი გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი პირველი“ (გვ. ნვ). სტეფანე კი, როგორც ცნობილია, მოღვაწეობდა მეცხრე საუკუნის გასულს და მეათის პირველს



მეოთხედში (ტ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 143).

ამრიგად, სერაპიონის „ცხოვრება“ ბასილის მიერ დაწერილია მეათე საუკუნის მეორე ათეულის მიწურულში, დაახლოებით იმავე დროს, როდესაც სტეფანე მტბევარს „გობრონის მარტვილობა“ დაუწერია, იმ დროს „ქართველთა მეფედ“ ითვლებოდა ადარნასე დავითის ძე (888-923), რომელიც „გობრონის მარტვილობაში“ მოხსენებულია. მართალია, ამ მეფეს ბასილი თავის თხზულებაში არ იხსენიებს, მაგრამ ეს იმის მომასწავებელი არაა, რომ თხზულება დაწერილია ადარნასეზე წინ გინა თუ შემდეგ. საქმე ისაა, რომ სერაპიონის მოლვაწობა, რომელიც შეადგენს თხზულების შინაარსს, დამთავრებულია მეფობის აღდგენამდე. ამიტომ ადარნასეს ის ვერ მოიხსენებდა; სტეფანე მტბევარს უთუოდ უნდა მოეხსენებია ადარნასე, როგორც მთავარი მოქმედი პირი იმ ომისა არაბებთან, რომელმაც იმსხვერპლა გობრონი; ბასილს არავითარი საბაბი არ ჰქონია არც მისი მოხსენებისა, არც სხვა ვინმე დიდი კაცისა, გარდა იმ ფეოდალი მთავრისა, რომლის საბრძანებელში უშუალოდ მოღვაწეობდა (გიორგი ჩორჩანელი) სერაპიონი.

თხზულება რომ ბასილის მიერაა დაწერილი, ეს, რასაკვირველია, სადავო არაა; ისეთი სიტყვები, როგორიცაა „რამეთუ თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხოვრება ესე წმიდისა აღწერა, და იტყვს: „მე, ბასილი, ძმისწული სერაპიონისი“... (გვ. 43), ეჭვს არ სტოვებენ ამაში.

ბასილი იყო შვილი სერაპიონის უფროსი ძმისა, რომელიც, ძმების მონასტერში წასვლის შემდეგ, სახლში დარჩა და „წესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკვდრებელსა“ (გვ. 6). მართალია, ბასილი ზარზმაში ბერად მოსულა, როგორც თვითონ ამბობს, სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ, თუ ჩვენ მოვიგონებთ, რაც სერაპიონის გარდაცვალების შესახებ ითქვა, ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ ბასილს თავისი ბიძა სიცოცხლეში არ ენახა და არ სცნობოდა<sup>15</sup>. მას ის შეეძლო თავისი მამის სახლშიაც ენახა, რადგანაც სერაპიონი, როგორც თხზულებიდან ჩანს, თავის ყოფილ ოჯახს არ გაუბრუნდა: ასე, ნაგალითად, ერთხელ, როდესაც ისა და მისი ძმა იოანე ჰარეხიდან ზარზმაში ბრუნდებოდნენ, მათ სახლში გამოუვლიათ და „ქმადცა იგი მათი უხუცესი, რომელი პირველ ვაცსენეთ, იხილეს და სურვილით მოიკითხეს, და თანაექცეოდა იგი ყოველსა მას მუნ ყოფა-

<sup>15</sup> გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ბასილმა არ იცის სახელი თავისი ბებრისა (მამის დედისა), რომელსაც ის არ მოსწრებია; ყოველ შემთხვევაში, ეს გარემოება ვერ დავიბრტყევთ იმას, რომ ბასილი სერაპიონს არ იცნობდა, მაშინ ამავე უფლებით შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ის თავის მამასაც არ იცნობდა.

სა შინა მათსა“ (გვ. 32). ასე რომ, ერთ-ერთ წყაროდ ბასილისათვის შეგვიძლია თვით სერაპიონი მივიჩნიოთ: შეუძლებელია ზოგი რამ სერაპიონის თავგადასავალ-მოღვაწეობიდან ბასილს უშუალოდ მის-გან არ ჰქონდეს გაგონილი. გარდა ამისა ფაქტიური მასალა მისთვის მიუწოდებია სერაპიონის თანამედროვესა და მეგობარს, გიორგი მაწყვერელს; „მოგუთხრა ესე“, ამბობს ავტორი, „არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიად საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყვთ უკუე გიორგის, ეპისკოპოსსა მაწყუერელსა“ (გვ. 27), „ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანაფსკნელ ეხილვნეს, მომითხრეს პირმან მან უტყუელმან. გიორგის ვიტყვ მაწყუერელსა“ (გვ. 41), შენიშნავს სხვა ადგილას ბასილი. ბასილის დროს ცოცხალი ყოფილა აგრეთვე ის პირიც, რომელიც სერაპიონს დაყვებოდა, თანახმად გიორგი ჩორჩანელის ბრძანებისა, სამონასტრო ადგილის გამოსაძებნად, მთელი ეს მოთხრობა (გვ. 16 — 24) გადმოცემულია ამ ადამიანის პირით. ცნობები მიქელ პარეხელისა და სერაპიონის მასთან მოღვაწეობის შესახებ ბასილს ამოღებული უნდა ჰქონდეს მიქელის „ცნობებიდან“, რომელიც, თვით ბასილის სიტყვით, „აღწერეს მოწაფეთა მისთა“ (გვ. 6) და რომელიც ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. სხვა კიდევ ცნობები „სარწმუნოთა კაცთა მიერ ფიცით მოგუთხრნეს ჩუენო“ (გვ. 36). ამბობს ავტორი. აღნიშნული წყაროები სრულს გარანტიას იძლევიან იმისას, რომ თხზულებაში გადმოცემული ფაქტები და ამბები უაღრესი ნდობის ღირსია. ამ წყაროების გამოყენებით, მის მიერ ნაწახისა და განცდილის საფუძველზე, ბასილს გარკვეული, წინასწარ მოფიქრებული გეგმით დაუწერია შრომა, რომელშიაც სასტიკი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოთხრობილია სამცხის სამონასტრო კოლონიზაციის ამბები თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, მეცხრე საუკუნის ორმოციანი წლებიდან მეათე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

სამწუხაროდ, ეს შრომა ჩვენამდე არ შენახულა იმ სახით, რა სახითაც ის გამოვიდა მისი ავტორის ხელიდან. როდესაც ქართულს მწერლობაში ფეხი მოუდგამს ე. წ. მეტაფრასულ მიმართულებას, ამ შრომასაც განუცდია ამ მიმართულების გავლენა, ვიღაც მეტაფრასტს უქისრია მისი შეკეთება და განახლება. თხზულებას რომ მართლაც განუცდია შემდეგში სხვისი ხელი, ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს. პირველად, ასეთი ფრაზები — „თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისაჲ აღწერა, და იტყვს, ანდა—“ ამის-სა შემდგომად ბასილი მიითვალა წინამძღურობაჲ, რომელმან კეთილად იღუაწა ჟამ რაჲოდენმე“, — არ შეიძლება თვით ბასილს ეკუთვნოდეს. მეორედ, ციტაცია, რომელსაც ადგილი აქვს თხზულებაში; სერაპიონის ცნობრებასა და სასწაულთმოქმედებას ავტორი პარალელს უდებნის

სხვადასხვა მეუდაბნოეთა და წმიდათა ცხოვრებაში, როგორცაა, მაგალითად, მაკარი მეგვიპტელი, ექვთიმე, საბა და გერასიმე, ბესარიონ ბერი, თეოდოსი დიდი, გრიგოლ საკვირველთმოქმედი, გრიგოლ აკრაკანტელი და სხვ. ამათგან მაკარი მეგვიპტელის დასახელება მეათე საუკუნის გასულზე ადრე შეუძლებელია, ვინაიდან მისი „ცხოვრება“ და თხზულებანი ქართულად ექვთიმე ათონელმა თარგმნა; ე. წ. პალესტინის პატერიკი, რომელშიაც მოთავსებულია, სხვათა შორის, ექვთიმე დიდის, საბასი, გერასიმესი და თეოდოსი დიდის „ცხოვრებანი“, მეათე საუკუნის ნახევარზე ადრე არ ჩანს ქართულს მწერლობაში. ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც ამ პატერიკს შეიცავს, მეთერთმეტე საუკუნის პირველს ნახევარს ეკუთვნის (ბრიტანეთის მუზეუმის ხელნ. Addit. 11281), ხოლო საგალობლები აღნიშნული პირებისა პირველად მიქელ მოდრეკილის კრებულში გვხვდება. ბესარიონ ბერის სახელი ჩვენს ლიტერატურაში შემოვიდა იმ კრებულთან ერთად, რომელიც *Patrum Vitae*-ს სახელითაა ცნობილი და რომელიც მეათე საუკუნეზე ადრე ქართულ ენაზე არაა ცნობილი. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ხსენება ორი გრიგოლისა: აკრაკანტელისა და საკვირველთმოქმედისა; გრიგოლ აკრაკანტელის „ცხოვრება“ ქართულად უთარგმნია დავით ტბელს, რომელიც მოღვაწეა მეათე საუკუნის გასულის და მეთერთმეტის დამდეგისა (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 176—180), ხოლო „ცხოვრება“ გრიგოლ საკვირველთმოქმედისა, გრიგოლ ნოსელის მიერ დაწერილი (ციტაცია იქიდანაა), გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა დაახლოებით მე-11 საუკუნის ნახევარში. ვინაიდან აღნიშნული ციტაციის წყარო, როგორც თხზულების ხასიათიდან ჩანს, ქართული ლიტერატურაა და არა ბერძნული, ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ის, ციტაცია, ეკუთვნის არა ბასილს, არამედ ისეთს პირს, რომელიც ცხოვრობდა არა უადრეს გიორგი მთაწმიდელისა. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ დრო, როდესაც მოხდა გადაშენება ან განახლება სერაპიონის „ცხოვრებისა“. არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დღეს ცნობილია, რომ მიქელისა და პავლეს მიერ აშენებული ზარზმის ეკლესია განუახლებიათ და გადაუკეთებიათ მე-11 საუკუნეში ბაგრატ მეოთხის დროს (ე. წ. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილ. უნივერსიტ. მოამბე, I, 133—4). ამასთან დაკავშირებით სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო გადაკეთება და განახლება ზარზმის მაშენებლის, სერაპიონის, „ცხოვრებისა“. ასე რომ, მეტაფრასული რედაქცია ამ „ცხოვრებისა“ ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარს.



საბედნიეროდ, ეს განმახლებელი არც ისე დახელოვნებული მწიგნობარი ყოფილა, რომ მას ისე რადიკალურად გადაეკეთებია „ცხოვრება“, როგორც ეს მიღებული იყო მეტაფრასულ ლიტერატურაში; არსებითად ბასილის შრომისათვის, მისი გეგმისა და ფაქტიური მხარისათვის, მას ხელი არ უხლია, მისი რედაქციული მუშაობა გამოიხატება შემდეგს რამეში: 1. მოკლე შესავალი და ეპილოგი, რომელიც უეჭველია ბასილის შრომასაც ჰქონდა, მეტაფრასტს განუვრცია და შეუძვია საღვთო წერილიდან ამოღებულ ტექსტებითა (შესავალი) და აგრეთვე მრავალი პათოსური მიმართვით (ეპილოგი). 2. შეუტანია თხზულებაში შედარებანი სერაპიონის მოღვაწეობისა და სასწაულომოქმედებისა სხვადასხვა მეუდაბნოეთა, წმიდათა და ბიბლიურ პირთა ცხოვრებასთან, როგორც ეს მიღებული იყო განსაკუთრებით მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიაში. 3. ცალკეული ნაწილები მოთხრობისა გადაუბამს ერთიმეორეზე საგანგებო, მეტაფრასტების მიერ მიღებული, აბზაცებით: ასეთია ადგილები: ა) „ხოლო აქა ეგულვების სიტყუასა მოკლედ წიადსლვაჲ... მოძღურებისა ნამუშავეთაჲ“. ბ) ზემოამოწერილი და განხილული ადგილი შიო მღვიმელის შესახებ. გ) „ხოლო შენ იხილე საყუარელო... ხოლო აწ პირველსავე შევეხნეთ თქუმად“. დ) „არამედ საყუარელნო ძმანო... მოგუემადლა ჩუენ მამაჲ და მოძღუარი“. ე) „ხოლო ყოველი იგი კრებული... განვმა წმიდათა მათ ნიერ“. ვ) „და განითქუა სასწაული ესე ყოველთა შორის... და პირველსავე სიტყუასა ადვიდეთ“. ზ) „არამედ აქა ნეშტი სიტყუსაჲ... სახელად იოვანესსა აღეშენა“; „ხოლო ამისსა შემდგომად ბასილი მიითვალა წინამძღურობაჲ...“ ბოლომდე. 4. მეტაფრასტს გადაუკეთებია თხზულება სტილისტიკურად; სტილისტიკური ცვლილებანი მას იქაც კი შეუტანია, სადაც მოთხრობა პირველი პირითაა გადმოცემული; ავტორი განსაკუთრებით ხშირად ხმარობს სიტყვას „ვინაჲ“, რომელიც გააბატონა ჰაგიოგრაფიულ თხრობაში მეტაფრასულმა მიმართულებამ, აგრეთვე „და“ თანდებულს წინადადების თავში, მაგალითად: „და, საყუარელო, შენ უკუე ვინ ხარ?“ „და, ვმადლობ ღმერთსა და მეუფესა მ წმიდანო“, „და წარვედ მსწრაფლ და ცან ძალი“.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ბასილის შრომას მეტაფრასული ოპერაცია განუცდია, ის მაინც რჩება ისეთ ძეგლად, რომელიც უტყუარ სურათს იძლევა თანამედროვე ეპოქისას და ამ მხრეც დიდად არ ჩამოუვარდება გიორგი მერჩულის შრომასაც კი.



სოციალურია სერაპიონ ზაზაშვილის „ცხოვრებისა“ და  
მნიშვნელობა თხზულებისა

სერაპიონის სამცხეში მისვლა, იქ სამონასტრო ადგილის ძებნა, პირველი ეკლესიის აშენება და მასთან დაკავშირებული საქმიანობა წინ უსწრებს უშუალოდ საქართველოში მეფის ინსტიტუტის აღდგენას (888 წ.) და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ როგორც ვთქვით, ამ ძეგლში მეფეს ვერ ვხვდებით. ქვეყნის სათავეში დგას ფეოდალური კლასი, რომელიც შიგნით სხვადასხვა ხარისხად იყოფა ასე, მაგალითად, თხზულებაში ვხვდებით „დიდ მთავრებს“ მირიანსა და გიორგი ჩორჩანელს; უკანასკნელი იყო „მთავარი დიდი და წარჩინებული, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთადათა, რომელთა სივრცე საზღვართვრცელ და მრავალი იყო. ესე კაცი მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა და ტაძარნი მისნი შენ იყვნეს სანახებთა ჩორჩანისა და ზანაეისათა“, ის იყო „უფალი მათ აღგილთა და მპყრობელი ყოველთა მათ სანახებთა და არავინ წინააღმდეგობ იყო მისდა აღგილთა მათ“. გარდა „დიდი მთავრისა“ სამცხეში არიან „სხუანიცა მთავარნი გარემოთა ადგილთაგანი“, რომელნიც ისეთი სიმდიდრისა და შეძლების პატრონად არ ჩანან, როგორც გიორგი. თხზულებაში ვხედავთ მესამე კატეგორიის მთავრებსაც: დიდ მთავარს გიორგის თავის ამაღლაში ჰყავს დაასლოებელი კაცები, შემსრულებელნი მისი ნებისა და სურვილისა. ესენი არიან არა უბრალო პერსონები, არამედ „მთავარნი და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი“. გიორგიმ „უბრძანა“ მათ წავიდნენ სერაპიონთან და „ზედმიწეებით ცნან ყოველივე“; მათ შეასრულეს დავალება და დაბრუნდნენ უკან, „რათა წინაშე გიორგისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრეს“. დიდი ფეოდალები „თავისუფლებით და ნებისა-ებრ“ ცხოვრობენ „ადგილთა შინა კეთილთა და ნაშენებით ღონიერთა“, „უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ“ და თავის საკუთრებას გაფაციცებით იცვენ უცხო ხელისაგან, იქამდე, რომ მათს საბრძანებელში სანადიროდაც კი შესვლა უცხო კაცისა დაუშვებელ მოვლენად, „კადნიერებად და ურცხვინო საქმედა“ მიჩნეული. საკუთრებისა და მიწათმფლობელობის ნიადაგზე ფეოდალურ ოჯახში სისხლიც კი იღვრება; ასე, მაგალითად, როდესაც გარდაიცვალა გიორგი ჩორჩანელი, რადგანაც მას საკუთარი შვილები არ ჰყავდა, „ყოველივე, რაჲცა აქუნდა, მამული და მონაგები მისი, დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მასთა საკუთრებით განუთვსა“. ერთ-ერთს ამ უკანასკნელთაგანს, ლაკლავს, მოუკლავს საკუთარი სიძე. დის ქმარი, რომელსაც ცოლისათვის ნაწილი გამოუთხოვია. ერთადერთი დაწესებულება და ადამიანი,

რომელთათვის ფეოდალები თავიანთ მამულსა და მოხაგებს არ იშურებენ, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არა ყველა და არა ყოველთვის, არის ეკლესია-მონასტრები და ბერმონაზვნობა, თუმცა ესეც იმიტომ უმთავრესად. რომ ეკლესია-მონასტრების გაშენება ფეოდალის საბრძანებელში ამ ფეოდალის დიდების, შეძლების და გავლენის მაჩვენებლად იყო მიჩნეული, მონასტერი ითვლებოდა მის საკუთრებად, როგორც საშლაცველო და განსასვენებელი მისი, და მემკვიდრეობით გადაეცემოდა სხვას (ზარზმა გიორგი ჩორჩანელმა თავის დის ოჯახს გადასცა). როდესაც პატრონი მოისურვებდა, მონასტერს ჩამოართმევდა შეწირულ მამულს და უკანვე დაიბრუნებდა ხოლმე. ასე მოხდა, სხვათა შორის, ზარზმის მიმართ, როდესაც გიორგი ჩორჩანელის დის ოჯახში ზემოაღნიშნული მკვლელობის შემდეგ ხანგრძლივი მღელვარება დაწყებულა.

ფეოდალური კლასის მეორე ფრთას შეადგენს ეკლესია, ბერმონაზვნობა და სოფლიო სამღვდელეობა. თხზულებაში წარმოდგენილია ის ხანა, როდესაც სამცხეში ადგილი აქვს გაცხოველებულ სამონასტრო მშენებლობას, ამ მშენებლობას ეტრფიან და ხელს უწყობენ როგორც დიდებულნი (ხშირია მოვლენა, რომ მათი ოჯახის წევრები თვითონ მიდიან ბერად და მონაზვნად, მაგალითად, „კაცი სახელონი გარბანელი“, გიორგის და ლატავრი, რომელსაც მონაზვნობაში თეკლა ეწოდა), ისე მდაბიონი. როგორც სასულიერონი, ისე საერონი. ეკლესია-მონასტრები თავისებურ შემამულეებს წარმოადგენენ, — სერაპიონმა ზარზმის მონასტრისათვის გიორგი ჩორჩანელისაგან მიიღო დიდი მამულები; გიორგი ეუბნება ერთს ჭაბუკს: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმინდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე რაჲოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინაჲთგან ადგილსა ამას წადიერ არიან“. გიორგიმ სერაპიონს „სოფლებიცა მისცნა“, ვინაიდან „მოსწრაფე იყო, რათა ყოველივე ადგილისა მისთვის წარავოს“; გარდა ამისა ახალგაშენებულ მონასტერს მან „მისცნა ყოველნი საცმარნი: ჯორები და კარაულები და რაჲოდენ რაჲუგმდა სიმრავლესა ძმათასა“. „ხოლო მრავალთა იწყეს მიბაძვად მისსა და... ძალისაებრ აჩუენებდეს შესაწირავსა“, შენიშნავს ავტორი. სამცხის ეკლესიის სათავეში დგას მაწყვერელი, ესე იგი ეპისკოპოსი აწყურისა, გიორგი შუარტყლელი, რომელიც „აღმოცენდა მშობელთაგან წარჩინებულთა“, მამასადამე წარმოშობითაც ფეოდალურ კლასს ეკუთვნოდა. სამცხე, ავტორის სიტყვით, არის „საბრძანებელი“ გიორგისა, მან „დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი“, რომელიც მიტაცებული იყო „მეშფოთეთაგან“ ჩორჩანელის მემკვიდრეთა შორის ატეხილი მღელვარების დროს. ერთი სიტყვით, გიორგი მაწყვერელი უფრო დიდი და შემძლეა, ვიდრე „დიდი მთავარი“, ვინა

ნაიდან ის, როგორც თავი ეკლესიისა, „მბრძანებელია“ მთელი სამ-  
ცხისა, საერო ფეოდალები კი მხოლოდ მისი ნაწილისა.

ბასილეს თხზულებაში ვხედავთ დაბალი კლასის წარმომადგენლ-  
ებსაც; ეს თხზულება, შეიძლება ითქვას, ერთადერთია აღრიხული ქა-  
რთული ფეოდალური ლიტერატურის ისტორიაში, რომელშიაც დიდი  
კლასების გვერდით, გამოყვანილია გლეხობაც. სერაპიონი თვითონ  
იყო გლეხი, მისი მშობლები, რომელნიც „ლიტონად“ ცხოვრობდნენ,  
„იზარდებოდეს შრომითა და ქუეყნის-მოქმედებით“, ესე იგი მიწათ-  
მოქმედებით. მათი გარდაცვალების შემდეგ შვილები „დაშეთეს ალსა  
შინა სიგლახაყისასა შეთხეულნი“. გლეხკაცი იყო ძარლუა სოფლის  
მცხოვრებიც, რომელსაც ბერად შედგომის ნებას არ აძლევენ არც  
სოფლელები, არც „უფალი“ მისი, ალბათ იმიტომ, რომ მისი მონას-  
ტერში წასვლით სოფლელებს აკლდებოდა აქტიური წევრი, რაც  
უმნიშვნელო არ იყო მათ მიერ სახელმწიფო თუ საბატონო ვაღდე-  
ბულებათა სიმძიმის დაძლევისათვის, ხოლო ბატონს — მუშახელი  
და გამოცდილი მოსამსახურე. გლეხები იყვნენ საძმოს დაბა წის-  
ქვილთან თავმოყრილნი „კაცნი უკეთურნი და ყოველად მკეცებრივ-  
ნი“, რომელთაც „იწყეს ყენებად“ სერაპიონისა, „ვითარცა ცოფნი  
წინარბიოდეს“ მისა და ნებას არ აძლევდნენ მას სამონასტრო ადგილის  
დათვალიერებისას. მშობლების გარდაცვალების შემდეგ სერაპიონი  
თავისუფლად მიდის მონასტერში, ხოლო მისი უფროსი ძმა „წესითა  
მსოფლიოვითა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკვლრებელსა“; ამავე  
დროს ძარლუა სოფლის გლეხს ბატონი ნებას არ აძლევს ბერად შე-  
დგომისა და ისეთ ზომას მიმართავს, როგორიც არის ძალით ჩამორ-  
თმევა მის მიერ მონაგები ფულისა. ამ ორი, ერთი მეორის საწინააღ-  
მდეგო, მოვლენის გათვალისწინებით მე უკვე მქონდა შემთხვევა გა-  
მომერკვია, რომ პატრონყმობის დამყარებამდე (მე-10 საუკუნემდე)  
ჩვენში ადგილი ჰქონდა ფეოდალურ ურთიერთობათა იმ ვარიანტს,  
რომელიც ცნობილია პარიკულ ურთიერთობათა სახელით და შემდე-  
გში მდგომარეობდა ① გლეხს შეეძლო, როდესაც მოისურვებდა,  
მონასტერში წასვლით თუ სხვა მემამულესთან გადასვლით, მიეტო-  
ვებინა თავისი პირვანდელი „უფალი“, მხოლოდ უკანასკნელისათვის  
უნდა მიეცა გარკვეული კომპენსაცია; ② გარკვეული ვადის შემდეგ,  
რომელიც ბიზანტიაში 30 წელს უდრიდა, მემამულე ჰკარგავდა უფლე-  
ბას ჩამოერთმია გლეხისათვის მამული, რომელიც გლეხის აუცილე-  
ბელ განკარგულებაში გადადიოდა, იქამდის, რომ შეეძლო მემკვიდ-  
რეობით გადაეცა შვილებისათვის, იმ პირობით კი, რომ მემამულეს  
ყოველწლიურად მისცემოდა მამულით სარგებლობისათვის გარკვე-  
ული გამოსახადები (კ. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტე-  
რატურის პერიოდიზაცია, გვ. 11 — 12).



თხზულებაში ვხვდებით აგრეთვე სხვა სოციალური წრის წარმომადგენელსაც, მაგალითად, ყმას, რომელიც, ავტორის შეგნებით, მონის სინონიმს წარმოადგენს. იქ ნათქვამია, რომ გიორგი ჩორჩანელმა „უბრძანა ერთსა ვისმე მონათაგანსა: წარვედ მსწრაფლ, ცან ძალი საქმისა ამის და მათუყე ჩუენ; ხოლო წარვიდა მყის ყრმა იგი“ ანდა—„მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და ჰრქუა მას: მივედ, ძმაო, და არქუ“ მათ. რომ აქ სიტყვა „ყრმა“ სოციალური ტერმინია, აღმნიშვნელი იმისა, რასაც ჩვეულებრივ „ყმა“ ეწოდება, და არა ასაკისა, ბავშვის, მაჩვენებელი, ჩანს იქიდან, რომ ამ „ყრმას“ თითქმის ყოველ ნაბიჯზე „კაცი“ ეწოდება, მას მიმართავენ სიტყვით „ძმაო“ და არა „შვილო“. საფიქრებელია, რომ „ყმა“, რომლის პირვანდელ, უძველეს ფორმად „ყრმა“ ჩანს, როგორც სოციალური ტერმინი, უფრო ძველია, ვიდრე ე. წ. პატრონყმობის პერიოდი ჩვენი ისტორიისა (მე-10 საუკუნიდან), ის, ალბათ, იხმარებოდა პარალელურად ტერმინისა „მონა“; ყოველ შემთხვევაში, ბიბლიაში არის ისეთი ადგილები (მაგალ. ისაია 44,21), სადაც „ყრმა“ „მონის“ მნიშვნელობითაა ნახმარი (И. Д ж а в а х о в, Государственный строй древней Грузии и древней Армении, с. 73). ამავე მნიშვნელობით ეს ტერმინი ნახმარი უნდა იყოს აგრეთვე მეხუთე საუკუნის ძეგლში, რომელსაც „შუშანიკის მარტივობა“ ეწოდება; ავტორი მისი, იაკობ ხუცესი გადმოგვცემს: მე და შუშანიკი ვლაპარაკობდით იმის შესახებ, დაუბრუნოთ თუ არა ვარსკენს სამკაულები; „და ჩუენ რა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმა ერთი“ და გადმოცა ვარსკენის ბრძანება მასთან გამოცხადების შესახებო (ს. გო რ გ ა ძ ი ს გამოცემა, გვ. 9 — 10)<sup>16</sup>. ცხადია, ვარსკენ პიტიაში პასუხსაგებ დავალებას და მინდობილობას ბავშვს ვერ მისცემდა.

ამ ტერმინთან დაკავშირებით თხზულებაში ყურადღებას იპყრობს ტერმინი — ჭაბუკი; იქ ნათქვამია: „მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა პასკითა, რომელ არს ძალითა“. ჩვეულებრივი გაგებით „ჭაბუკი“ ნიშნავს ახალგაზრდას, ძალდონით სავსე ადამიანს, იმას, ვისაც რუსულად, მაგალითად, юноша ეწოდება; ამ აზრითა და მნიშვნელობით ეს სიტყვა ნახმარია აღნიშნულ შემთხვევაშიაც. მაშ რაღასაჭირო იყო მისთვის მიმატება განმსაზღვრელი სიტყვებისა: „პასაკითა, რომელ არს ძალითა“? ამ მიმატებით ავტორს უნდა გვაჩვენოს, რომ მის დროს სიტყვა „ჭაბუკი“, გარდა ახალგაზრდა ადამიანისა, სხვა რამესაც აღნიშნავდა, და, ცნებათა აღრევა რომ აცილებული ყო-

<sup>16</sup> ალბათ, აქედან წარმოდგარა ტერმინი „მეყმე“, ყმათა მფლობელის აზრით, რომელიც, პროფ. ა. ც ა გ ა რ ლ ი ს ცნობით, გვხვდება სინას მთის 8—9 საუკ. ხელნაწერში № 74, სახელდობრ, ექსტატი პლაკიდას „წამებაში“.

ფილიყო, სიტყვისათვის დაურთავს საჭირო განმარტება. ეს სხვა აზრი ტერმინისა არის მისი სოციალური შინაარსი, რომელიც ორგვარი ყოფილა. „ჭაბუკი“, როგორც სოციალური ტერმინი, პირველ ყოვლისა აღნიშნავდა იმას, ვისაც მომდევნო საუკუნეთა მხატვრულ ლიტერატურაში „რაინდი“ (рыцарь) ეწოდება; ასეთი აზრით ხმარება ამ ტერმინისა ჩვეულებრივია „გეფხისტყალსაში“, მაგრამ უფრო ნიშანდობლივად ის ხმარებულა „ამირანდარეჯანიანში“. იქ ლაპარაკია, სხვათა შორის, იამან ჭაბუკის შესახებ (გვ. 31): „მოგვეგება წინა იამან ჭაბუკი, კაცი ბერი და შვენიერი, ჰგვანდა, რომე ყოფილიყო ღოღო ჭაბუკი“; ის თავისთავზე ამბობს; „მე ბერიაკი ვარ და აღარ ძალ მიძს ომნი მტერთა ზედა, თორემ ვიმოწმებ ღმერთსა, რომე ჭაბუკობისთვის არავისი მინდოდის ქენება“ (გვ. 32). ამოწერილ ადგილებში „ბერი“ ასაკის, მოხუცებულობის აღმნიშვნელია. აქედან, ცხადია, ყოვლად შეუძლებელი იყო თქმა „იამან ჭაბუკი, კაცი ბერი“, ჭაბუკი რომ ასაკის, ახალგაზრდობის აღმნიშვნელი იყოს. ამრიგად, ჭაბუკი, როგორც სოციალური ტერმინი, აღნიშნავდა იმ პირს, რომელიც პროფესიულ „რაინდთა“ კორპორაციას ეკუთვნოდა; „ამირანდარეჯანიანის“ ავტორს სურს თქვას, რომ ღღეს უკვე მოხუცებული, დაბერებული იამანი პროფესიით ჭაბუკი ან რაინდია. მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვისა, როგორც სოციალური ტერმინისა, მდგომარეობს იმაში, რომ ის აღნიშნავდა საერთოდ „თავისუფალს, აზნაურს“, იმას, ვისაც ჩვეულებრივ არისტოკრატთა და „კეთილშობილთა“ წოდებას აკუთვნებდნენ, მიუხედავად იმისა, შედიოდა ის რაინდთა კორპორაციაში თუ არა. ალბათ ამ აზრით ეს სიტყვა ეხმაურება უცხოელთა ტერმინს „ჯამუკ“, რომელიც ბუქარელთა და თურქთა მიერ „არისტოკრატის“ მნიშვნელობით იხმარებოდა თურმე (В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, стр. 183, прим. 3; Н. Марр, Вступительные и заключительные строфы, с. XXX, прим. 1). ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა დამოწმებულია გრივოლ ხანჭთელის „ცხოვრებითაც“, სადაც მოთხრობილია შემდეგი ეპიზოდი: „იყო სამცხეს შვილი საჩინოჲსა ვისიმე კაცისა ზენონ“; მას სახლში ჰყავდა გაუთხოვარი და, რომელიც „შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან“. ზენონმა გადწყვიტა შურისძიება და ერთხელ დაედევნა კიდევაც უკან ამ კაცს, მაგრამ გზაში ხელი აიღო ასეთს განზრახვაზე შემდეგი მოსაზრებით: „ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრად შეურაცხ არს“, ამიტომ არ შემშვენის მე იმას თავი გაუყადროვო (გვ. იზ—იფ). ჩანს, წარმოშობითა და გვარიშვილობით ზენონი უფრო „სახელოვანი“ და „საჩინო“ ჭაბუკი ყოფილა, ვიდრე მისი დის შეურაცხმყოფი კაცი, ამიტომ წოდებრივ-არისტოკრატიულ თავმოყვარეობას ნება არ მიუცია მისთვის გამკლავებოდა შედარებით და-

ბალ საფეხურზე მდგომ „ჭაბუკს“. ვამბობ „ჭაბუკს“ მეოქი, რადგანაც ეს კაციც, უეჭველია, არისტოკრატიულ გვარს ეკუთვნოდა: შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ დიდისა და „საჩინო“ არისტოკრატის ზენონის დას სამიჯნურო კავშირი გაეხას მდაბიოსთან, — გლეხთან თუ მონასთან; ამიტომ მართალი არ უნდა იყოს ნ. მარი, რომელსაც ზენონის „ჭაბუკობა“ მიაჩნია არა გვარიშვილობის საზოგადოდ, არამედ პროფესიული რაინდობის აღმნიშვნელ ტერმინად (Вступительные и заключительные строфы, с. XXXI), პროფესიულ რაინდობაზე ლაპარაკი მეცხრე საუკუნეში ნაადრევია.

ამრიგად, ტერმინი „ჭაბუკი“ ძველად სამი მნიშვნელობით იხმარებოდა: მეცხრე — მეათე საუკუნეებში ის აღნიშნავდა ① ადამიანის ასაკს, — ახალგაზრდობასა და, ზოგიერთს შემთხვევაში, ბავშვობასაც (იხ. ზემოთ გვ. 59, შენიშვნა), — და ② არისტოკრატიულ წარმოშობას საზოგადოდ; მეთერთმეტესა და შემდეგს საუკუნეებში მას მიეცა მესამე მნიშვნელობაც, — პროფესიული რაინდისა.

ასეთია სოციალური დიფერენციაცია სამცხის ფეოდალური საზოგადოებრიობისა სერაპიონის „ცხოვრების“ მიხედვით; როგორია, ამ თხზულებით, სოციალურ ძალთა ურთიერთობა და განწყობილება? ამ მხრივ უფრო რელიეფურად თხზულებაში წარმოდგენილია დამოკიდებულება ეკლესიასთან გლეხთა და საერო ფეოდალური კლასისა.

მეცხრე საუკუნე ის დრო იყო, როდესაც ეკლესია, განსაკუთრებით კი მისი შავი ფრთა, — ბერმონაზვნობა, დიქტატორის როლში გამოდიოდა ჩვენს ქვეყანაში, ის თავის ბუნებრივს ფარგლებს სცილდებოდა და იმაზე ოცნებობდა, რომ საზოგადოებრივპოლიტიკური ცხოვრებაც თავისი კონტროლის ქვეშ დაეყენებინა. ასეთი მისწრაფება ბასილის თხზულებაშიაც ჩანს. სამცხის მღვდელთმამძღვარი, გიორგი მაწყვერელი, ჩორჩანელ-ფაშალუნდიანთ გვარში ატეხილი სისხლის-მღვრელი უთანხმოების დროს, რომელმაც, ჩანს, მთელი ის კუთხე ააფორიაქა, გამოდის საერო ფეოდალის, დიდი მთავრის, ფუნქციებით და მშვიდობას ამყარებს იქ; „კელთიდვა რა განგებაჲ სამცხისაჲ“, ნათქვამია თხზულებაში, გიორგიმ, „დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს იყო... და დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უწესოებანი მღვდელთმამძღვრის გიორგის მიერ“, ამბობს ავტორი. რაღა უნდა ვთქვათ მაწყვერელის შესახებ, როდესაც ისეთი უბრალო ბერებიც კი, როგორიც იყვნენ სერაპიონი და მისი თანამგზავრნი სამცხეში მისვლისას, ისინიც კი ანგარიშს არ უწევენ დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის განწრაზვას და თავის სურვილს უკარნახებენ მას, და ეს მაშინ, როდესაც გიორგის პირიდან ესმით: „საქმენი ესე“, რომლისათვის თქვენ აქ მოსულხართ, „თვნიერ ჩემსა არა წარემართებინაო“. გიორგის არ უნდა ბერებმა მონასტრის შენება



დაიწყო იმ ადგილას, რომელიც მათ აურჩევიათ, ის უჩვენებს მათ სხვა, უფრო მოხერხებულ ადგილს და ემუდარება—იქ ჩაუყარონ საფუძველი სასურველ შენობას. ბერებს გაგონებაც კი არ უნდათ ამისი, ისინი მდიდრულად ეუბნებიან მას: „ნუ გუაიძულებ დატევებად ადგილსა ამას და სხუად ცვალებად, რამეთუ ასე ვერ ეგების ჩვენ მიერ“. ასე რომ, ეს დიდებული მთავარი „მოიდრიკა და დადუმნა... და წარვიდა მწუხარე“ სიტყვებით: „არა თურე ღირს ვიყავ ლოცვასა თქვენსაო“. მაგრამ ყველა გიორგისავით არ „იდრიკებოდა“ და არ „დუმდებოდა“: ის მორალური და ამასთან ერთად ეკონომიური პრესი, რომელიც კისერზე დაადვა საეკლესიო-სამონასტრო დიქტატურამ იმდროინდელ საზოგადოებას, აუტანელი ხდებოდა და პროტესტს იწვევდა. ბასილის თხზულება იმითაც არის საყურადღებო, რომ, თუ გნებავთ, ერთადერთია იმდროინდელ ლიტერატურაში, რომელშიაც ამ პროტესტის ხმა გვესმის, აღნიშნული დიქტატურა იმდენად მძიმე გამხდარა ფეოდალური კლასის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის, რომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ თავისი საბრძანებელი და თავი დაიცივან დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან. როდესაც სერაპიონს და მის თანამგზავრთ პირველად შეუდგამთ ფეხი სამცხეში, შეჩერებულიან ერთ ადგილას, რომელსაც ძინძე ეწოდებოდა, და განუხრახნვარე იქ მონასტრის აშენება, იმ ადგილის „უფალთ“ ან ბატონებს რომ ეკუთვნოდათ, რომ მათს საბრძანებელში მისულან ბერები მონასტრის ასაშენებლად. „არა ინებეს“ ეს, „ამრსათჳს ზედამიტევნეს მათ“ და გააძევეს იქიდან. ასეთივე არასასურველი სტუმრები გამხდარან სერაპიონი და მისი თანამგზავრნი გიორგი ჩორჩანელის საბრძანებელში იმ სოფლის მცხოვრებთათვის, რომელსაც საძმო ეწოდებოდა. როდესაც მათ დაინახეს, რომ ბერები სამონასტრო ადგილს ათვალიერებდნენ, „იწყეს ყენებად მათდა და, ვითარცა ცოფნი, წინარბოდეს“, ესე იგი ძალას ხმარობდნენ და ნებას არ აძლევდნენ მათ განეგრძოთ ადგილის შემოვლა და დათვალიერება, ვინაიდან დარწმუნებული იყვნენ, რომ მონასტრის აშენების შემდეგ საუკეთესო ადგილმამულები ბერებს ჩაუყარებოდათ ხელში და მათი, გლეხების, ისედაც შევიწროებული მდგომარეობა უფრო აუტანელი გახდებოდა. აქედან, როგორც იყო, ბერებმა თავი დააღწიეს. მაგრამ როდესაც მივიდნენ ე. წ. სათახვის ტბასთან, ახალ უსიამოვნებას წააწყდნენ: მათ წინ გადაელობნენ ტბასთან ჩასაფრებული მონადირენი, რომელთაც ისინი უხეშად და უკმეხად „გარუჟუჟმოაქციეს“, ესე იგი — გამოლაღეს იქიდან, რაო-და „მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რათა არა იქმნას ცთომად მათი თქუენ მიერო“. ბერმონაზვნური იდეოლოგიის მატარებელსა და მოტრფიალ ეტორს, ბასილს, ვერ მოუწელებია ბერების ასეთი შეურაცხყოფა და ის შეურაცხყოფის მი-

მეცნიერებელ მთავრებს, გლეხებს და მონადირეებს არა მარტო „ცოფს, უკეთურს და მხეცს“ ეძახის, არამედ სამაგიეროსაც მიაგებს ღვთისაგან: მისი გადმოცემით, ღამე, სასწაულებრივ, განიბო კლდე, მაყენებელი ტბისა, რომელმაც სულერთიან წალეკა იქაურთა, ისე რომ კვალიც აღარ დარჩა დაბისა და მისი უხეში და უგუნური მცხოვრებლები-სა. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ „სოციალური დაკვეთა“ თხზულებისა, როგორც კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი იარაღისა; ეს ღვთაებრივი ტერორის ქვეშ აყენებს ყველას. ვინც ბერმონაზვნებისადმი უყურადღებობასა და გულგრილობას იჩენს და ამით იდეოლოგიურ ბაზას ჰქმნის სასულიერო წოდების საზოგადოებრივ-ეკონომიური ყოფის განსამტკიცებლად.

ამგვარად, ბასილის თხზულება თავისებური მატიაწეა მეცხრე საუკუნის არა მარტო სამონასტრო-სამოქალაქო კოლონიზაციისა, არამედ კლასობრივ-იდეოლოგიური ბრძოლისა ჩვენში, კერძოდ სამცხეში.

თხზულება საშუალებას გვაძლევს რამდენადმე მაინც გავითვალისწინოთ ეკონომიური მდგომარეობა სამცხისა მეცხრე საუკუნეში<sup>17</sup>. სამცხე, დასერილი „ქედთა მიერ მალათა და ლოდონათა“, უმეტეს ნაწილად დაფარულია უღრანი ტყეებით, რომელთა „სიკშოლასაგან აღარა იხილებოდა ცაჲ ანუ მზისა შარავანდელი“. ეს მხარე ჩვენი ქვეყნისა ჯერ კიდევ არაა მჭიდროდ დასახლებული, იქაური „ადგილნი არიან მცირედ კაცრიელნი“, აქა-იქ გვხვდება „მცირე რაჲმე დაბეზი“, რომელთა შორის მისვლა-მოსვლა შესაძლებელია „იწროასა მიერ და ფრიად საჭირველისა გზისა“. ადამიანს იქ შეუძლია იხილოს მხოლოდ „მცირენი რაჲმე ყანობირნი“, ესე იგი—დამუშავებული მამული, სახნაჭსათვის. ამისათვის მიწათმოქმედების შემდეგ მესაქონლეობა მნიშვნელოვანი დარგი უნდა ყოფილიყო სახალხო მეურნეობისა; ყოველ შემთხვევაში, გიორგი ჩორჩანელის ანდერძში, რომელიც მას ზარზმისათვის დაუტოვებია, ყურადღებას იპყრობს „სიმრავლე საცე-ღართა და მროწეულთაჲ“. ვფიქრობ, რომ არც ნადირობას ეჭირა ნაკლები ადგილი იქაურ ეკონომიკაში; ბუნება ხელს უწყობდა იმას, რომ ცხროჭას, მაგალითად, იყო „სიმრავლე თხათაჲ და სხუთა ნადირთა ველურთაჲ“, ხოლო ერთს პუნქტს „ბაკთა“ ეწოდებოდა, რადგანაც ის იყო „შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ“; ტბაში, რომელსაც სათახვე ეწოდებოდა, იყო „სიმრავლე თავუთაჲ და სხუთა ნადირთაჲ“. თხზულებაში ნათქვამია, რომ დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი „უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ“ და ცხროჭას „არეთა ეშენა

<sup>17</sup> რადგანაც „დიდი მთავრის“ გიორგი ჩორჩანელის საბრძანებლოს „სივრცე საზღვართ-ერცელ და მრავალ იყო“. რადგანაც ის შეიცავდა სამცხის მნიშვნელოვანსა და დიდ ტერიტორიას, ამიტომ მისი მიზეზით ჩვენ საერთოდ მთელი სამცხის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

სახლი, რომელ თუ ოდესმე ეწიოს ღამე, სადგურ ყვიან მას შინა სი-  
ბნელისათვის ღამისა და უვალობისა და სიკვამლისა ტყეათასა“. თუ  
გიორგისათვის ეს ნადირობა იქნებ უბრალო სპორტსაც წარმოადგენ-  
და, ეს არ შეიძლება ითქვას იმ პირთა შესახებ, რომელნიც იკრიბე-  
ბოდნენ სხვადასხვა სანახებიდან სათახვე ტბაზე, ვითარცა „მდევარნი  
ნადირთანი და ურთიერთს მდევარნი, რომელნი კლვადცა მზა არიან  
თვთეულისა“.

არც ფულადი მეურნეობა ყოფილა ამ მხარეში საგნებით უცნობი;  
ყოველ შემთხვევაში, ს. ძარღუაში მცხოვრებ გლეხს, რომე-  
ლიც მერე ზარზმაში ბერად შედგა, შეუკრებია სამას ზუთი ბიზანტი-  
ური დრაჰკანი (დრაჰკანი იწონიდა  $1\frac{1}{15}$  მისხალ ოქროს) „ოქროსა-  
გან თლილისა და წმიდისა“. თხზულებაში ნაჩვენებია გზა ამ ფულის  
შეძენისა; ამ კაცისათვის მის უფალს ან ბატონს საგანგებო საქმე მიუ-  
ჩენია: „იყო კაცი იგი საჯმარ და მსრბოლ გზათა შორით“, ესე იგი ის  
იგზავნებოდა ხოლმე შორეულ ქვეყნებში და, შეჭველია, ასეთი მის-  
ვლა-მოსვლისას იძენდა ფულს; ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ მის  
მიერ შეძენილი ფული, „სახითა პირველთა მათ მეფეთაჲთა“, ბიზანტი-  
ური იყო.

ნათქვამიდან ნათელია, თუ რაოდენ დიდია მნიშვნელობა ბასილ  
ზარზმელის თხზულებისა, მასში, როგორც სარკეში, მოჩანს სამცხის  
ყოფა-ცხოვრება მეცხრე საუკუნისა.

სხვათა შორის, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ის ქართული ხე-  
ლოვნებისა და ქართული სამართლის ისტორიისათვის. ხელოვნების  
ისტორიისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ცნობა. რადგანაც „ქვანი  
მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს“, ზარზმის თავდაპირ-  
ველს, ძველს ეკლესიას აშენებდნენ უბრალო რიყის ქვისაგან, რომე-  
ლსაც „ჭირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს“. შემდეგ  
ამ მიზნით, თანახმად გიორგი ჩორჩანელის ჩვენებისა, დაუწყიათ სოფ.  
უმწაიდან ზიდვა მიწისძვრისაგან დანგრეული ეკლესიის ქვისა, რომე-  
ლიც გამოუყენებიათ უმათერესად „კუთხითა და კამარათათს“. ამ  
ეკლესიის შენებისას „ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა“  
იყვნენ ადგილობრივი ოსტატები, სერაპიონის მოწაფენი. ეს ეკლესია,  
უეჭველია, იყო უბრალო ბაზილიკა, ხოლო, როდესაც მესამე წინა-  
მძღვრის, მიქელის, დროს იწყეს ახალი, დიდებული ტაძრის შენება,  
მიქელმა „მოუწოდა გელოვნებით განთქმულსა კაცსა ქუეყანისაგან  
ბერძენთაჲსა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა, რომელსა თანა-  
შემწედ აქუნდა გალატოზი, სახელით შუარტყელელი; და ესე ორივე-  
ნი ეყვნეს მოძღვარ და მასწავლელ სიმრავლესა მუშაკთასა“. დასდევს  
საფუძველი, ამოიყვანეს ხარისხი და მთავარ კორპუსთან ერთად  
იწყეს შენება შტომასა; როდესაც შენობა სარკმლამდე ან ფანჯრა-



მდე აიყვანეს, გამოქანდაკებით გამოხატეს კედელზე წინამძღვარი მიქელი, ძარღუელი ბერი, რომელმაც 305 დრაჰკანი შესწირა ამ საქმეს, და ორი გალატოზი. მიქელის დროს ეკლესია „აღეშენა ვიდრე სამკურთმედ“ და დასრულდა შემდეგი მამასახლისის პავლეს დროს. ყველაფერი ეს ფრიად დამახასიათებელია ძველი ქართული ხელოვნების, კერძოდ, ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის.

ქართული სამართლის ისტორიისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობა, რომ გიორგი ჩორჩანელის დისწვილებმა, რომელთაც გიორგიმ, უშვილობის გამო, მთელი თავისი ქონება დაუტოვა, მოკლეს თავისი სიძე, დის ქმარი, რადგანაც მან მათი დისათვის და თავისი ცოლისათვის ამ ქონებიდან ნაწილი მოითხოვა; თავის მოთხოვნილებას ის ასე ასაბუთებდა: „ნაწილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინაჲთ განთქუენცა დედისა მიერ გაქუს“. ეს ადგილი გვიჩვენებს, რომ ქალს გათხოვებისას მშობლების ოჯახიდან, ალბათ მზითვევის სახით, თავისი წილი გაჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ამ კაცის მოთხოვნა და არგუმენტაცია. მაშასადამე, იმ დროს, მე-9 საუკუნეში, მზითვეი სიძეს კი არ მიჰქონდა ქალის დედ-მამასთან, პირიქით—თვითონ მიჰქონდა ამ უკანასკნელთაგან. მოკლული კაცის ცოლი გათხოვილი ყოფილა, სანამ მისი ძმები საცილობელ მამულს მიიღებდნენ; მაშასადამე, ისმებოდა საკითხი: აქვს თუ არა უფლება გათხოვილ ქალს მოითხოვოს წილი იმ ქონებიდან, რომელიც მისმა მშობლებმა მისი გათხოვების შემდეგ ამა თუ იმ გზით შეიძინეს? ამ საკითხის გამო, ნათქვამია თხზულებაში, „იქმნა სიტყუსკებაჲ ურთიერთას“, რომელიც, როგორც ჩანს, არა იურიდიულ ნორმას, არამედ ხმალს გადაუწყვეტია.

იმ დროს ჩვენში მოქმედი სამართლის გასათვალისწინებლად მეტად საყურადღებოა ეპიზოდი ბატონის ნებადაუთოველად ბერად შემდგარი ძარღუელი გლეხის შესახებ. როდესაც ეს გლეხი დარწმუნდა, რომ მას სოფლელები და ბატონი ნებას არ აძლევდნენ უკანვე დაბრუნებულიყო მონასტერში, მან აიღო ხელსახოცში გაკრული 305 დრაჰკანი და, რაც ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. ბატონის მდევარნი გამოუდგნენ უკან, მაგრამ ვერ დაეწივნენ; „ვითარცა შევიდა კაცი იგი მონასტრად და მდევარნიცა იგი უკანა მისსა და ვითარცა ენება, რათა შეიპყრან და წარუღონ, რაჲ იგი აქუნდა“, ბერმა, როგორც იყო, მიასწრო ეკლესიის ფანჯრამდე და შეაგდო შიგ, რაც ხელში ჰქონდა. მდევარნი განიარაღებულნი დარჩნენ: მათ არც ბერზე მიუწვდებათ ხელი და, მით უმეტეს, არც ეკლესიაში შეგდებულ ფულზე. ისინი წინამძღვარს ეხვეწებიან გაუღოს მათ კარი, „რათა წმიდასა მას თაყუანისცენ და მათცა იხილონ, რაჲ იგი შეეწირა ევლოგიაჲ კაცსა მას“. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ეკლესიის იმ პრივილეგიასთან,

რომელიც რომსაბერძნეთის იმპერიაში ცნობილი იყო jus asyli-ს სახელწოდებით და რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ, თუ დამნაშავენი, მოვალენი, განსაკუთრებით კი მონები, რომელნიც ბატონს გაუბრუნდნენ, მოასწრებდნენ ეკლესიის ეზოში, მით უმეტეს, თვით ეკლესიაში შესვლას, იქ პპოულობდნენ საიმედო თავშესაფარს და ხელშეუხებლად ითვლებოდნენ. აღნიშნული პრივილეგია, რომელიც პრაქტიკულად მეოთხე საუკუნიდან გამოიმუშავა ცხოვრებამ, კანონმდებლობითი გზით აღიარებულ იქნა იმპერ. თეოდოსი მეორის დროს (431 წ.). ჩანს, ასეთი რამ ჩვენშიაც ყოფილა ცნობილი და ამით აიხსნება, რომ მღევარნი, რომელთაც გლახმა მონასტრის ეზოში შეასწრო და ეკლესიაში ფული შეაგდო, ხელს აღარ ახლებენ არც მას და არც ფულს.

არ არის ჩვენი ძველი მნიშვნელობას მოკლებული ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც. მე ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს არა ის გარემოება, რომ ძველის გადაკეთებისას, მე-11 საუკუნეში, დადასტურებულია არსებობა ქართულ ენაზე ისეთი თხზულებებისა, როგორიცაა „ცხოვრება“ პავლე თებელისა, ანტონ დიდისა, მაკარი ეგვიპტელისა, ექვთიმე დიდისა, საბა განწმედილისა, გერასიმე იორდანელისა, ილარიონ დიდისა, თეოდოსი დიდისა, ხარალამპისა და გიორგი აკრაკანტელისა, — ეს სხვა წყაროებიდანაც ცნობილი იყო, — არამედ ის უადრესად საყურადღებო ფაქტი, რომ თავის დროზე მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, დაწერილი ყოფილა „ცხოვრება“ დიდი მეუდაბნოს მიქელ პარხელისა მისი მოწაფეების მიერ. უეჭველია, ამ თხზულებაში, ისე, როგორც ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის ახლოგეურ შრომებში, გაშლილი იყო საინტერესო კაბადონები სამცხე-კლარჯეთის სამონასტრო-სამოქალაქო კოლონიზაციის ისტორიისა, და მით უფრო სავალალოა, რომ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია: ჩანს, ის უკვე მე-11 საუკუნეში იყო დაკარგული, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტაფრასტი მიქელის შესახებ ცნობების გადმოცემისას ამ თხზულებით კი არ სარგებლობს, არამედ „მამათაგან“ მომავალი გადმოცემით.

დასასრულ, თხზულება საყურადღებო მასალას შეიცავს სამცხის ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიული შტუდიებისათვისაც. აქ მოცემულია ცნობები სამცხის ორი დიდი ფეოდალური გვარეულობის წარმომადგენელთა შესახებ, ესენია: 1) დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, მისი დაი ლატავრი, მონაზვნობაში თეკლა, და შვილები — სულა, ბეშქენ და ლაკლაკი; 2) დიდი მთავარი მირიანი, ძე ბეშქენ ფაჰლაუნდისა, იოანეს ძისა, რომლის გვარმა, ხურსიძემ, დაიმკვიდრა, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ჩორჩანელ-ჩორდვანელობა და ისე-

თი გამოჩენილი მოღვაწეები მოგვცა შემდეგში, როგორც იყვნენ ივერიის სავანის მაშენებელნი იოანე, თორნიკე და ექვთიმე ათონელე-ბი (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 103). ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებოა ის ადგილი თხზულები-სა, სადაც ნათქვამია, რომ მიქელმა ზარზმის ახალი ტაძრის ასაშენებ-ლად ხუროთმოძღვარი მოიწვია „ქუეყანისაგან ბერძენთაჲსა, ადგი-ლისაგან ხუფათ წოდებულისა“. 1913 წელს მე პირველად გამოვა-ქვეყნე დანიელ მესვეტის „ცხოვრებიდან“ ერთი ადგილი, სადაც ნათ-ქვამია, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, იმპერ. ლეონ დიდის დროს, ბერძენთა და „მეგრელთა“ შორის დადებულ იქნა „საზღვრად ციხე ხუფათი“ (Христ. Восток, II, 188). როგორც ვხედავთ, ბერძენთა მფლობელობაშია ეს ციხე-ადგილი ბასილის დროსაც (9-10 საუკ.), ის თავისებური ხიდი ყოფილა ბერძენ-ქართველთა პოლიტიკურ-კულტუ-რული ურთიერთობისა<sup>18</sup>.

თხზულებაში წარმოდგენილია დაწვრილებითი ისტორია სამცხე-ში სამონასტრო მშენებლობისა და მოხსენებულია რამდენიმე მონასტერი, რომელთაგან ზოგი კლარჯეთშია და გიორგი მერჩულის შრო-მაშიც გვხვდება, მაგალითად, პარეხი და ოპიზა (მათი მშენებლების დასახელებით), ზოგი კი სამცხეშია: ზარზმა, ზანავი (ქურდიასა და ამასპოს მიერ აშენებული) და იოანეწმიდა ყველის ხევს, აშენებული სერაპიონის უმცროსი ძმის იოანეს მიერ. თხზულებაში თვალწინ გვქ-შლება მთავორიანი, ღრმა ხეხვებით დასერილი და უღრანი ტყით და-ბურთული რელიეფი სამცხისა, მისი პირველყოფილი ბუნება და მთე-ლი რიგი გეოგრაფიული პუნქტებისა, როგორიცაა: ბაკთა, ბერას ჟუარი, ბობლა, გოდერძი, ზანავი, ზარზმა, სათახვე, სამმო, უმწა, უტ-ყვი, ყველის ხევი, შეშათა თავი, შუარტყლი, ცხროჭა, ჩორჩანი, ძარ-ლუა და ძინძე. ზოგი ამ პუნქტთაგანი დღესაც ცნობილია სამცხეში, მაგალითად, გოდერძი, ზანავი, ზარზმა, უმწა, ჩორჩანი, ძინძე, ზოგი კი საძიებელი და აღმოსაჩენია. საერთოდ ძველი სამცხის ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიული შესწავლა, რომელიც კარგა ხანია დაწყებულია ახალს სამეცნიერო-კვლევითსა და მატერიალურ პირო-ბებში, გაგრძელებას თხოულობს, ამისთვის დღეს, ბასილ ზარზმე-ლის სახით, საუკეთესო და სანდო ბ ე დ ე კ ე რ ი ც მოგვეპოვება.

<sup>18</sup> სხვა საკითხია, თუ რა მოსახლეობა იყო იმ დროს ხუფათში. პოლიტიკურად ის ბერძენთა ქვეყანაა. არამც თუ იმ დროს, მე-11 საუკუნეშიაც ხუფათი ბერძენთა მფლობელობაშია; მემართანე გადმოგვცემს, რომ ზაგრატ მეოთხემ 1046 წელს თავისი ძარი „მოაყენა ხუფათს, დაუდგეს ფილაკვანი და ბრძოდესო“ (ქართ. ცხო-ვრ., მარიაშ, გვ. 261).



როგორც უკვე ვთქვით, ის ერთადერთი ხელნაწერი, რომელშიაც შენახულია ბასილის თხზულება, მეტად დაზიანებული სახით წარმოგვიდგენს ამ შრომას; ზემოთ აღნიშნული იყო, რომ თხზულებაში დარღვეულია მოთხრობის წესი, ჯერ კიდევ არქეტიპში რვეულებისა და ფურცლების აღრევის გამო. ეს ნაკლი შედარებით ადვილი გამოსასწორებელი აღმოჩნდა, სამაგიეროდ უძლური ვხდებით იქ, სადაც ლაპარაკია სერაპიონის ოპიზაში გამოვლის შესახებ („და ვითარცა დაყვეს დღენი რავდენნიმე.... ხოლო ვითარცა იყო წმიდა იგი მდაბალ“); აქ თხზულებას, უეჭველია, რაღაც აკლია, არა ერთი სიტყვა გინა თუ წინადადება, არამედ მთელი აბზაცი, შეიძლება თავიც, რომლის აღდგენა დღესდღეობით შეუძლებელია. გარდა ამისა აქა-იქ წინადადებას აკლია სიტყვა, ურომლისოდ აზრი მისი გაუგებარი ხდება, ხოლო სიტყვას — ესა თუ ის მარცვლი ან ასო; ასეთი ნაკლებუვანი ადგილები ჩემ მიერ შესწორებულია და კვადრატულ ფრჩხილებშია [ ] ჩასმული.

**დამახინჯებული ადგილები.** საუკუნეთა განმავლობაში, გადაწერის პროცესში და გაუგებრობის ნიადაგზე, ესა თუ ის ადგილი იმდენად წარყვნილა და დამახინჯებულა, რომ მოთხრობის აზრს აბნელებს და მის გაგებას აძნელებს. ზოგიერთი ასეთი ადგილი იმდენად ადვილი შესასწორებელია, რომ სპეციალურად მათზე შეჩერება საჭირო არაა. მაგალითად, ხელნაწერში ყველგან „მოწილედ“-ს (მოწადინებით, მხიარულად) მაგიერ „მოწილედ“ წერია; სამაგიეროდ არის ისეთი ადგილები, რომელთა კონიექტურა განმარტებას თხოულობს. ასეთებია:

1. „ამისათვის განიხაროს გულმან ჩემმან და გალობდა ენა ჩემი“; ფსალმუნის ამ ადგილას (15,9) „განიხარა“-ს ვკითხულობთ, როგორც ქართულს, ისე სხვა ენებზე არსებულს ტექსტებში; არ შეეძლო ეს ადგილი ამოეკითხა ავტორს რომელსამე ძველს ვერსიაში, რადგანაც „გალობდა“ გულისხმობს, რომ საცილობელი ზმნაც უნდა იძლეოდეს „განიხარა“ ფორმას.

2. „ვითარცა წერილ არს კაცთა მათ-თვის გერგესეველთა“; „გერგესეველთა“-ს ნაცვლად უნდა დაიწეროს „ნაზარეველთა“, რადგანაც საზარების შესაფერ ადგილას (ლუკ. 4,29) მოქმედ პირებად გამოყვანილნი არიან ნაზარეველნი და არა გერგესეველნი.

3. გიორგი ჩორჩანელი და მის ამაღაში მყოფი მთავრები საღამოს, გამოთხოვების ჟამს, სერაპიონსა და მის მხლებლებს დახმარებას აღუთქვამენ მონასტრის შენებაში, რისთვისაც მათგან დიდ მადლობას ღებულობენ. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „და მთავარი იგი კლდესა მას

ზედა განათიეს“. რასაკვირველია, ეს ფრაზა, რომელშიაც არავითარი აზრი არაა, უნდა შესწორდეს ასე: „და მთავართა მათ ღამე იგი კლდესა მას ზედა განათიეს“.

4. გიორგი ჩორჩანელი და მისი მხლებლები სერაპიონს უჩვენებენ ერთ ადგილს და სთხოვენ—იქ ააშენოს მან მონასტერი; სერაპიონი უარზეა, რითაც გიორგი ძალიან შეწუხებულია. ის ეუბნება მხლებლებს: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რომ სერაპიონმა და მისიანებმა არ მოინდომეს მონასტრის აშენება „ადგილთა მას ზედანავთასა“? ბრწყალებში ჩასმული სიტყვები ყურადღებას იქცევენ არა მარტო შეუძლებელი გრამატიკული შეთანხმებით, არამედ უაზრობითაც. „ზედანავთასა“ წარმოადგენს რაღაცა გეოგრაფიული სახელწოდების დამახინჯებას (ადგილთა ზედანავთასა); ვფიქრობ, თავდაპირველად იწერა „ზანავისათა“. შემდეგი დროის გადამწერმა პირველი მარცვალი სიტყვისა „ზა“ მიიღო ქარაგმით შემოკლებულ „ზედა“ სიტყვად, ხოლო დარჩენილი გაუგებარი „ნავისათა“ გადააკეთა „ნავთასა“-დ. აქ რომ „ზანავი“ იგულისხმება, მქლავნდება იმითაც, რომ ზანავში მართლაც ჩანს მონასტერი, სადაც გიორგი დაიმარხა. გიორგის, უნდა ვიფიქროთ, სურვილი ჰქონია ზანავში მონასტრის აშენებისა, და, რადგანაც სერაპიონმა მას ეს სურვილი არ შეუსრულა, მერე ამასპოს და ქურდიას ააგებინა იქ სავანე, რომელიც, მისი სიკვდილის შემდეგ, განუახლებია მისი საბრძანებლის მემკვიდრეს მის დას ლატავრი-თეკლას.

5. გიორგი ჩორჩანელმა უბრძანა სერაპიონსა და მის მხლებლებს, „რათა მოიძიონ ადგილისა და ჰნებავს აღშენებად ეკლესიაჲ“. თავდაპირველად იქნებოდა „მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებავს აღშენებად ეკლესიაჲ“; შემდეგი დროის გადამწერთ სიტყვა „სადა“ გაუყვიათ ორ ნაწილად, პირველი „სა“ მიუკერებიათ სიტყვისათვის „ადგილი“ და მიუღიათ „ადგილისა“, „და“ კი დარჩენილა კავშირად, აქედან წარმომდგარა სრული უაზრობა.

6. სერაპიონი, მიქელ პარხელიდან გამობრუნებული, გამოივლის ოპიზის მონასტერში, სადაც იმ დროს რაღაც მშენებლობა მიდიოდა. ხელნაწერში გადმოცემულია: ერთხელ სერაპიონი იდგა „ხუროთა თანა საეკლესიოთა“, რადგანაც ის „იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრად შემკულ წესითა ხუცობისაჲთა“. სრულიად გაუგებარია დაკავშირება ამ ორი ფაქტისა: სერაპიონი დგას „ხუროთა თანა საეკლესიოთა“, რადგანაც ის მცოდნეა „სჯულთა საეკლესიოთა“, თითქმის საეკლესიო კანონებისა, და შემკულია „წესითა ხუცობისაჲთა“. ის რომ მდგარიყო ხუცებთან და სჯულის მოძღვრებთან, ყველაფერი გასაგები იქნებოდა, მაგრამ რა კავშირი აქვს მის ხუცობასა და სჯულთა მცოდნეობას? „ხუროებთან“? უეჭველია ეს ადგილი დამახინჯებულია შემდეგი დროის გადამწერთა ხელში;

თავდაპირველად იქნებოდა: „იყო მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა [შენებისათა] და ფრიად შემკულ წესითა ხუროობისაჲთა“, ესე იგი ხუროთა პროფესიის ცოდნით („ხუროობისაჲთა“, რომელიც, შეიძლება, შემოკლებითაც იყო დაწერილი, წაუკითხავთ როგორც „ხუცობისაჲთა“)<sup>19</sup>. ამ შემთხვევაში წინადადებას ასეთი აზრი ექნებოდა: სერაპიონი იდგა „ხუროთა თანა საეკლესიოთა“ იმიტომ, რომ მას რაღაც საერთო ჰქონდა მათთან, ის იყო მცოდნე საეკლესიო მშენებლობის კანონებისა და „ხუროობის“ წესისა. მართლაც, სერაპიონს, რომელსაც ამ დროისათვის დამთავრებული ჰქონდა საკუთარი სამონასტრო ეკლესიის შენება, შეეძლო საკმაოდ გაეცნო ხუროთმოძღვრების წესი და სჯული და კომპეტენტური გამხდარიყო რამდენადმე ამ დარგშიაც.

7. დამახინჩებათა კატეგორიაში უნდა მოქცეულ იქნეს ე. წ. დიფთოგრაფიული შეცდომები, — ერთისა და იმავე წინადადებისა და სიტყვის გაშეორება. ასე, მაგალითად, გამოვრებულია „მწყემსისაჲ“ და „და აწ“-ს შუა: „და აწ გულისცმის ყოფა და ბაძვაჲ დიდისა მოძღუარისა და მწყემსისაჲ“. ბ) „რომელთა მიგუემართა“-ს შემდეგ „რამეთუ გუშტყოდეს, რათა დავაცადოთ“. გ) „და ყოველთა აღიტყუელნეს გელნი“ — „და ყოველთა“ ორჯერაა დაწერილი. დ) „ყოველთა გუელმოდა მის თანა“ — „ყოველთა“ ორჯერაა. 8 ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვანაირად იწერება, მაგალ.: „განთენა“, „განთენდა“ „განრათენა“, „განთენა“, გამოცემაში მიღებულია უკანასკნელი ფორმა — განთენა.

**ფონეტიკა.** ფონეტიკის მხრივ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებები:

ა. ხელნაწერი ზოგს შემთხვევაში გვაძლევს: იყოფოდა, შეურდა, ეგულების, იოანე, ჰქუა, გულისცმა (და აქედან წარმომდგარ სხვა ფორმებს), ზოგს შემთხვევაში კი — იყოფოდა, შეუვრდა, ეგულვეების, იოვანე, ჰრქუა, გულისცმა; გამოცემაში ყველგან მეორე ფორმანახმარი აღნიშნული სიტყვებისა.

ბ. პირველი პირი ზმნებისა „გვ“ სისტემატურად იწერება როგორც „გუ“, მაგალითად: გუაიძულე, გუყვენით, გურწამს, გუკითხვიდა და

<sup>19</sup> „ხურო“, აქედან „ხურობა“, ისე, როგორც მაგ., კალო—კალობა, გემო—გემობა (ვისრამიანი, გვ. 78), კუბო—მეკუბობა (ვისრამიანი, გვ. 51) და სხვ. მე-X საუკ. ძეგლში, რომელსაც „წარტყუნაჲ იერუსალიმისაჲ“ ეწოდება, დამოწმებულია „ხუროება“: „რაჲ ხუროებაჲ იცით“, „კელოვანი ხუროებითა განარჩივნეს“ (ნ. მარის გამ., გვ. ით. 5—7), მაგრამ ეს უფრო ხელოვნური წარმოება უნდა იყოს. თუ სიტყვა „ხურო“ უცხო წარმოშობისაა, მაშინ, ჩვენ, შესაძლოა, გვეპოვოდა ფორმა „ხურობა“ (რაც უფრო ადვილად გადაკეთდებოდა „ხუცობა“-დ), როგორც მაგალ., ელექტრო-ელექტრობა, ღვინო—ღვინობისთვე და სხვა.

ხომ არ აქვს რაიმე კავშირი ტერმინთან „ხუცეს-გალატოზი“? (Е. Така-и ш в и л и, Археолог. экскурсии, разыскания и заметки, IV, с. 83).



სხვ.; ეს ფორმა გამოცემაში უცვლელადაა დატოვებული (უ-ს შემდეგ ი იძლევა კ-ს, მაგალ., გკხილნეს, გკკრდა, მოგკგეს, შეგკპყრნა).

გ. კომპლექსები „უც“ და კ(=უი) სისტემატურად დაცულია ხელნაწერში; პირველს გამოცემაში ვწერთ „უე“-დ, ხოლო, თანახმად მეორისა, სერაპიონის მამის სახელს, რომელიც „კვიპრიანე“-დ არის დაწერილი, „კკპრიანე“-დ ვიღებთ.

დ. სიტყვებში: „ვინაჲ, ვინადცა, ვინათგან, უფროჲსდა“ ხელნაწერი დ-ს არ ხმარობს.

ე. უფრო საყურადღებოა დ-ს ხმარება ძეგლში. ძალიან იშვიათად ვხვდებით მას ბრუნვებში იქ, სადაც საჭიროა, სამაგიეროდ იმით რბილდება ხმოვნები, უფრო კი ა, როგორც სახელებში, ისე ზმნებში: ს ა ხ ე ლ ე ბ ი: გარბანელი, კურნებაანი, ნეტარებაანი, საღმრთო-ანი, გარეგან ჭეშმარიტებისაჲ, სიტყუაჲთა, საკვრელებათაჲსა (ნათესავ.), ტყუეაჲთა, ბრძანებაჲთა, ნეტარებაჲსა, ჟამთაჲ ამთ ჩუენთა, ეგულები სიტყუაჲსა, ბრძანებაჲსა საღმრთოსა, ქუეყანაჲსა ზედა, ადგილსა რომელსაჲცა იყვნეს, მისთაჲ წარიყვნა, ტბაჲსა ამას, გონებაჲსა მას, შეუვრდეს წმიდასაჲ და სხვ. ზ მ ნ ე ბ ი: უპყრაჲ, შენებაჲდ, ყოვნებაჲდ, გმობაჲდ, ცნაჲ, განიხარაჲ, ენებაჲ, გკკრდაჲ და სხვ. შეიძლება, აქ რომელიმე დიალექტურ მოვლენასთან გვეკონდეს საქმე, მაგრამ გამოცემაში ასეთი მოვლენები აბსოლუტურად უარყოფილია.

ვ. თხზულებაში ხშირად იხმარება „რაჲ“ ორი მნიშვნელობით: როგორც ნაცვალსახელი, მაგალ., „რაჲ ჯერ არს ყოფად“, და როგორც ზმნის დანართი „ვითარცა, რაჟამს, როდესაც“ აზრით. მაგალითად: „შენა რაჲ სამნი ესე ნაშობნი“, „აღაშენა რაჲ“, „წარემოქმართნეს რაჲ“, „იუწყა რაჲ“ და სხვ. არის შემთხვევა, როდესაც „რაჲ“-ს მაგიერ „ვითარცა“ იხმარება, მაგალ., „ვითარცა მივიდა მდინარესა მას“, „ვითარცა გულისხმა ყვეს“, მაგრამ ასეთი შემთხვევა შედარებით იშვიათია, უფრო ხშირად, თითქმის სისტემატურად „რაჲ“ იხმარება. პირველს შემთხვევაში ა თავის ადგილასაა და ამიტომ, რა-საკვირველია, გამოცემაშიც დატოვებულია. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მეორე შემთხვევაში ის უადგილო იყო, მას ჩვენ ვხვდებით სხვა, ძველი დროის, ძეგლებშიც (მაგ. გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“), მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოცემაში ის ყველგან უარყოფილია შემდეგი მოსაზრებით: რაც უფრო ძველია ძეგლი, მით უფრო ნაკლებია მასში შემთხვევა ზმნებთან ასეთი დანართის ხმარებისა, რაც უფრო ახალია ძეგლი, მით უფრო ხშირია ასეთი შემთხვევა, მაგრამ „რა“ და არა „რაჲ“ ფორმით. სისტემატური ხმარება მისი ჩვენს ძეგლში უნდა მივიჩნიოთ არა ბასილ ზარზმელის, არამედ მეტაფრასტის საქმედ და დაბოლოება მისი დ-თი უნდა იყოს ტენდენცია ხმოვნების დ-თი შერბილებისა, რომელიც, ზემოთ აღვნიშნე (§ ე).

**მორფოლოგია.** ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ძეგლში:

ა. არაკანონიერი შეთანხმება ზმნისა და სახელისა, საზღვრულისა და მსაზღვრელისა, მაგალითად: „ამისი ესევეთარიითა“, „ჰნებაეს ადგილისა მის (—სად?) აღშენებად მონასტერი“, „მთასა... აღძრულნი“. „უფალსა დაბისასა... მათ არა ინებეს“, „სანახებსა ჩორჩანისათა“. „დაყოვნებულთა აღმოშობილნი“, „მოიკითხნა წმიდაჲ“. „ამბორს უყოფდა ფერჯთა მის წმიდათასა“, „განკვრევით (—რა?) დაეცა“ „შენდობაჲ იყავნ პირველი ცთომაჲ შენი“, „ახალთა მათ ხუროთმოძღუარსა“, „ყოვლად სანატრელნი სული“, „სიკუდილისაჲცა (—როდის?) ცხოველ არს“, „მონასტრისა მის (—რას?) შეეძინებოდა“, „სამსახურსა მონასტრისათა“ და სხვ.

ბ. განსაკუთრებით მოიკოჭლებს ძეგლში ძ-ს მორფოლოგიური გამოყენება; იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ ღ თავის ადგილას იყოს (მაგალ., „აღმომდინარისა წყაროსა, ბაძვა მწყემსისა, სახელითა მამისათა, დედაჲ ამის ნეტარისა, მამაცა ამათ ნეტართაჲ, სიღრმით სულისათ, კურნებანი იქმნებოდეს საღმრთოსაგან მადლისა წმიდათა მათ მთავარანგელოზთასა“ და სხვ.). თუ სადმე აღმოჩნდება ის თავის ადგილას, არა ნორმის შეგნების კარნახით, არამედ როგორც შედეგი ღ-თი ხმოვნების შერბილების ტენდენციისა, რომლის შესახებ ფონეტიკაში გვქონდა ლაბარაკი (§ ე). გამოცემაში ნორმა უსიტყვოდაა აღდგენილი ისე, რომ აქ [ ]-შიაც კი არაა ჩასმული.

გ. სრულიად უგულვებელყოფილია ნორმები ჰ-ს ხმარებისა როგორც მეორე პირის სუბიექტურის და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა; გამოცემაში ანომალიები ამ მხრივ შესწორებულია, ხოლო ნორმები აღდგენილია.

**სინტაქსი.** ხელნაწერში ყურადღებას იქცევს თავისებური შეთანხმება მთავარი და დამოკიდებული წინადადებისა ოთხი სიტყვით: ხოლო, და, ვითარცა, ამისთვის.

ხოლო: „აღეშენა რა წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ, ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა მუნით“; „ეუწყა რა უფალსა მის დაბისასა, ხოლო მათ არ ინებეს“; „და ვითარცა მრავალგზის გუეგედრებოდა კაცი იგი, ხოლო წმიდამან მან კეთილად მიითუალა“; „მირაიწინეს ადგილსა მას, ხოლო ცნეს“; „და ვითარცა ვკითხევდით თუ რაჲმე იყო ჯმაჲ ესე და ძრვაჲ, ხოლო ამათ მოგვგეს“; „ვითარცა მივიდეს ზეგსა ყუელისასა, ხოლო იქმნა რაჲმე მუნცა“.

და: „მორაეგო გონებასა წმიდაჲ იგი, და მოუხდა წმიდათა მათ“; „მოწაფენი ვართ მიქელ პარეხელისანი და მის მიერ წარმოვლენილნი, და რათა ადგილსა ამას აღვაშენოთ“ მონასტერი; „ხოლო ცნეს რა წმიდათა მათ, და მცის წინამოეგებნეს“; „და ვითარცა მიიწინეს ადგილსა მას, და კუალადცა ეტყოდა მათ მთავარი“ და სხვა მრავალი.

ვითარცა: „აღაგზნეს ცეცხლი და ვითარცა აღგდა კუამლი დიდძალი, ხოლო ვითარცა ცნა გიორგი მაწყუერელმან“.

ამისთვის „ხოლო რაჟამს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, ამისთვისცა ბრძანებითა უფალთაჲთა კელვყავ“.

ასეთი შეთანხმებანი, რომელშიაც, შეიძლება, დიალექტურ მოვლენასთანაც გვექონდეს საქმე, იმდენად არაჩვეულებრივია ლიტერატურაში, ძველი იქნება ის, საშუალო თუ ახალი, რომ საჭიროდ დავინახე გამოცემაში მათი შესწორება ხაზგასმული სიტყვების გამოგდებით.

ზემოჩამოთვლილი თავისებურებანი და ანომალიები ტექსტისა არამც თუ ბასილ ზარზმელს, მე-11 საუკუნის მეტაფრასტასაც არ ეკუთვნის, ისინი შედეგია, უმეტეს შემთხვევაში, საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული გადაწერისა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უარყოფილი და შესწორებული ადგილები შენიშვნებშია ჩამოტანილი.

შეუსწორებლად დავტოვე ასეთი კონსტრუქცია: „ხოლო წმიდაჲ იგი, ვითარცა იყო უცხო ზუაობისაგან, მიუგო და ჰრქუა მათ“ ვინაიდან ანალოგიური მოვლენა სხვა ძეგლებშიც გვხვდება.\*